საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რაგორიც ბოჭდ-ვუტი სიფცვაა, ფცუილებით და ჭიტებით ბუტ-თის გაფანა ყვეოა ეკადრისიბაგე ესაძაგლესია.

ხუთშაბათი, 2 მარტი. 2023 წ. №25 (9557) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

ვისაც კანონპროექტი საერთოდ არ ეხება, ის ყველაზე მწარედ იკბინება!

სოზარ სუბარი: რაც კარგია ამერიკული დემოკრატიისთვის, ის ცუდი ვერ იქნება საქართველოსთვის!

შეუძლებელია, რომ ის, რაც კარგია ამერიკული დემოკრატიისა და უსაფრთხოებისთვის, ცუდი აღმოჩნდეს საქართველოსთვის. ეს წარმოუდგენელი ორმაგი სტანდარტია, რომლითაც ჩვენი პარტნიორები და მეგობრები არ უნდა მოგვიდგნენ, – ამის შესახებ მოძრაობა „ხალხის ძალის“ წარმომადგენელი სოზარ სუბარი სოციალურ ქსელში წერს

როგორც სუბარი წერს, იმედი აქვს, გაეროს წარმომადგენლობა საქართველოში საქართველოს არ უყურებს, როგორც მეორეხარისხოვან ქვეყანას, სადაც სხვა სტანდარტი უნდა იყოს და სხვა სტანდარტი – შეერთებულ შტატებში ან კანადაში.

„ძალიან დამეჯითებითი თხოვნაც და რჩევაც მექნება გაეროს წარმომადგენლობისთვის – ნუ ისპეკულირებენ ბენეფიციარების სახელით“, – აღნიშნავს სოზარ სუბარი.

კონდოლიზა რაისი: ამერიკამ საქართველოს მიმართ ყურადღება მოადუნა!

„საქართველოზე ძალიან ვღელავ, ჩვენ ამ ქვეყნის მიმართ ყურადღება მოვადუნეთ და ეს ყურადღება ისევ უნდა დაუბრუნდეს მას. დარწმუნებული ვარ, საქართველოში მევრი ახალგაზრდა ადამიანია, რომელიც სრულიად სხვა რამეს მოელოდა, ვიდრე არის ის, რაც ხდება საქართველოში.

ჩვენ არ გავაკეთეთ საკმარისი საქართველოში ადამიანის უფლებებისთვის, პრესის თავისუფლებისთვის და ახლა არ მგონია, რომ საქართველო სწორი მიმართულებით მიდის“.

საქართველოს კანონი „უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ“

იხ. 3 გვ.

გრიგოლ გიორგაძე: ჯარში მხოლოდ 12 თვით, ისიც ანაზღაურებით!

2

სერგეი შამბა: საქართველოში არსებულ პოლიტიკურ ვითარებაზე ბევრწილად ვართ დამოკიდებულნი!

6

ნუგზარ ბ. რუხაძე: ბრეექსიტი – განხეთქილების ვაშლი

◆

ლოზუნგის შეცვლით ჯამი არ იცვლება

◆

8

სამწუხაროდ, არ მომკვდარა, სძინავს მხოლოდ...

კავკასიის უნივერსიტეტის კიდევ ერთი წარმატება

5

9

„დავით ახლოური სამ დროში მცხოვრები მოღვაწეა!..“

სიკეთე, სიმართლე, სიყვარული

იხ. 7 გვ.

ეროვნული კავშირი 1991 GIORGI UNION

ჩვენი დროის ადამიანები, 2022

პრემიერ-მინისტრმა ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს სხდომა გამართა

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს სხდომა გაიმართა.

პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის ინფორმაციით, სხდომაზე განხილულ იქნა მსოფლიო და რეგიონული უსაფრთხოების გარემოს მნიშვნელოვანი ტენდენციები, მათ შორის უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებები და საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევები.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიმდინარე მნიშვნელოვან პროცესებს. სხდომაზე ასევე განხილულ იქნა ეროვნული დონის კონცეპტუალური დოკუმენტების განახლების პროცესი, მათ შორის „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ინტეგრირებული მართვის 2023-2027 წლების სტრატეგიის“ საბოლოო რედაქცია და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მისი დამტკიცების შესახებ. ყურადღება დაეთმო „საფრთხეების შეფასების დოკუმენტის“ და „საქართველოს კატასტროფის რისკის შემცირების ეროვნული სტრატეგიის“ განახლებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, მიმდინარე წელს კიბერუსაფრთხოების ეროვნული ფორუმის გამართვის თაობაზე. სხდომის მონაწილეებმა ასევე იმსჯელეს კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვის სფეროში რეფორმის მომზადების პროცესზე.

პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით გამართულ ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს სხდომაში მონაწილეობდნენ საბჭოს მდივანი, შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური და საბჭოს მუდმივი წევრები: თავდაცვის მინისტრი ჯუანშერ ბურჭულაძე, ფინანსთა მინისტრი ლაშა ხუციშვილი, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი გრიგოლ ლილუაშვილი, დაზვერვის სამსახურის უფროსი შალვა ლომიძე, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსი, ანზორ ჩუბინიძე და თავდაცვის ძალების მეთაური გიორგი მათიაშვილი.

„უსაზღვრო სტუმარმასპინძლობა“

„ITB berlin 2023“ 6 მარტს ბერლინში ოფიციალურად გაიხსნება და მას საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი გახსნის.

ორგანიზატორების ინფორმაციით, ბერლინში, საერთაშორისო ტურისტული გამოფენის დაწყებამდე ერთი დღით ადრე საზეიმო გახსნის ცერემონიალში საქართველოს პრემიერ-მინისტრთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ: გერმანიის ვიცე-კანცლერი და ეკონომიკური საქმეების მინისტრი რობერტ ჰაბეკი, ბერლინის მერი ფრანციზკა გიფი და ბერლინის გამოფენის დირექტორი დირკ ფოჰმანი. საზეიმო ცერემონიალს გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის გენერალური მდივანი ზურაბ პოლოლიკაშვილი და მსოფლიო ვაჭრობისა და ტურიზმის საბჭოს პრეზიდენტი ჯულია სიმფსონი დაესწრებიან.

გამოფენაზე საქართველოს მთავარი კონცეფციაა „უსაზღვრო სტუმარმასპინძლობა“. ბერლინის ტურისტულ გამოფენაზე საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტთან, თბილისის მერიასთან, ტურისტულ ასოციაციებთან, დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციებთან, 44 ტუროპერატორთან და 23 სასტუმროსთან, ჯამში 80-მდე ორგანიზაციასა და კომპანიასთან ერთად არის წარდგენილი.

ITB berlin 1966 წლიდან იმართება. 2019 წელს, მსოფლიო პანდემიამდე ITB berlin-მა მსოფლიოს 181 ქვეყნიდან გამოფენის 10 000 მონაწილეს უმასპინძლა. გამოფენას 160 ათასი სტუმარი ჰყავდა და მედიის 5000-მდე წარმომადგენელი აშუქებდა.

გრიგოლ გიორგაძე:
მხოლოდ 12 თვით, ისიც ანაზღაურებით!

სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან გადავადების საფუძველი უქმდება და ჩნდება ალტერნატიულ შრომით სამსახურში ჩანაწერი – სასულიერო პირი, – ამის შესახებ თავდაცვის მინისტრის მოადგილემ, გრიგოლ გიორგაძემ განაცხადა.

„ანუ, ადამიანები, ვინც ამ სივრცეში იყვნენ, განურჩევლად რელიგიური კონფესიისა, იქნება ის მართლმადიდებელი თუ სხვა, გადავადების საფუძვლით, ანუ ამ კონკრეტული კანონით ხდებოდა ადმინისტრირება და ახლა მოხდება მათი ალტერნატიულ შრომით სამსახურში გადანაცვლება. ანუ, არაფრის შეცვლა ამ კუთხით არ მომხდარა. ალტერნატიული შრომითი სამსახური დღესაც არსებობს და თუ ადამიანი აცხადებს, რომ რწმენის ან სინდისის გამო ის უარს ამბობს, მაგალითად, იარაღის ხელში აღებაზე, ის გაივლის ალტერნატიულ შრომით სამსახურს. მაგალითად, თავშესაფრებში, სანიტრად სამედიცინო დაწესებულებებში და ა.შ.“, – განაცხადა გიორგაძემ.

მისი თქმით, არსებული 18 თვის ნაცვლად, დღეს არის 12 თვით ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლა და ეს შრომა არის ანაზღაურებადი.

შეკითხვაზე, განსხვავდება თუ არა მათი შრომითი ანაზღაურება ამ სივრცეებში უკვე დასაქმებული სხვა ადამიანების ანაზღაურებისგან, გიორგაძემ განაცხადა, რომ მათი ანაზღაურება ნაკლებია.

ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერება პირდაპირ მიბმული იქნება ჯარისკაცის პირობების გაუმჯობესებაზე, არა მხოლოდ წვევამდელის, არამედ, პირველ რიგში, პროფესიული სამხედრო მოსამსახურის პირობების გაუმჯობესებაზე და დაგეგმილია ხელფასების ეტაპობრივი ზრდა. გიორგი გვიმრაძის შეკითხვაზე, რამდენად გვაძლევს სავალდებულობა იმ შედეგს, რომელიც გვინდა, მივიღოთ ტოტალური თავდაცვის ამოცანებიდან გამომდინარე და რამდენად პროდუქტიული შეიძლება იყოს იმ ადამიანების მიერ შესრულებული სამუშაო, რომლებიც ამ ყველაფერს საკუთარი ნებელობით არ აკეთებენ, გრიგოლ გიორგაძემ განაცხადა, რომ ჩვენ, უფლებებთან ერთად, კონსტიტუციურად სხვადასხვა ვალდებულებაც გვაქვს დაკისრებული.

„ეს ასევე მოდის პოლიტიკური პარტია „გირჩიდან“ და ამ ლოგიკით ჩვენ შეიძლება, ანარქიამდეც მივიდეთ. გადასახადების გადახდაც ხომ იძულებით ხდება? აბა, ნებაყოფლობითი იყოს, გადაიხდის ადამიანი გადასახადს?“ – განაცხადა გიორგაძემ.

საპენსიო აქტივების ღირებულება სამ მილიარდ ლარს აჭარბებს!

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაგროვებით საპენსიო სქემაში სულ 1 359.9 მლნ ადამიანი იყო ჩართული, საპენსიო აქტივების პორტფელის ჯამური ღირებულება 2 947 მლნ ლარს შეადგენდა, წმინდა ამონაგები კი 438.3 მილიონი ლარს.

რაც შეეხება ბოლო მონაცემებს, საპენსიო სააგენტოს ინფორმაციით, **2023 წლის 28 თებერვლის მდგომარეობით მთლიანი საპენსიო აქტივების ღირებულება 3.13 მილიარდი ლარია. წმინდა ამონაგები, კი 476 მილიონ ლარს შეადგენს. საპენსიო სქემაში გაწევრიანებულ მონაწილეთა რაოდენობა 1 მილიონ 377 ათასი ადამიანია.**

ბოლო მონაცემებით, **დაგროვებითი პენსიით ისარგებლა სხვადასხვა კატეგორიის 3,159 პირმა მათზე გაცემული თანხა კი 8,268,836.39 ლარს შეადგენს.**

ეროვნულ ბანკში ვითარება სულ უფრო გაურკვეველი ხდება

ეროვნული ბანკის ირგვლივ ახალი სკანდალი აგორდა.

პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ეროვნული ბანკის შესახებ კანონს ვეტო დაადო. მისი შეფასებით, ჩნდება ეჭვი, რომ თუ მის მიერ წარდგენილ კანდიდატურებს არ ექნება პარლამენტის მხარდაჭერა, კანონი იძლევა შესაძლებლობას, პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა განუსაზღვრელი ვადით შეასრულოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობა.

ახალი კანონი ეროვნულ ბანკში პირველი ვიცე-პრეზიდენტის პოსტს ამკვიდრებდა. კანონის თანახმად, პირველ ვიცე-პრეზიდენტს სებ-ის პრეზიდენტის არყოფნის პირობებში პრეზიდენტის უფლებამოსილების შესრულება შეეძლებოდა. ახალი კანონი, ეროვნულ ბანკთან ერთად, საერთაშორისო სავალუტო ფონდმაც გააკრიტიკა.

პრეზიდენტის ვეტოს შემდეგ პირველი კომენტარი გააკეთა ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა **ნიკოლოზ გაგუამ**. მისი შეფასებით, მნიშვნელოვანია მეტი ნაბიჯი გადაიდგას სებ-ის ინსტიტუციური დამოუკიდებლობის განმტკიცებისკენ. უშუალოდ ამ კანონპროექტზე კი გაგუა ამბობს, რომ მის შედეგად პირდაპირ სებ-ის დამოუკიდებლობის საკითხი არ დგება კითხვის ნიშნის ქვეშ და ის დროებით ცვლილებას წარმოადგენს.

„ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობა არის სებ-ის წარმატების მთავარი გარანტი და ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობა კიდევ უფრო გაძლიერებას და დახვეწას საჭიროებს. ამასთან დაკავშირებით სებ-ს არაერთხელ აქვს გაცხადებული ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში.

აღნიშნული ცვლილებით პირდაპირ ვერ ვიტყოდი, რომ სებ-ის დამოუკიდებლობის საკითხი დგას, ეს არის მცირე საკანონმდებლო ცვლილება. სებ-ის სახელით შემიძლია ვთქვა, რომ ეროვნული ბანკი ყოველთვის იყო დამოუკიდებელი. ცვლილების ერთ-ერთი მიზანია, რომ დროებით ემატება ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობა, ოღონდ ეს ემატება დროებით. არსებობს რისკი, რომ დღეს არსებული ბალანსი სებ-ის საბჭოში აღმასრულებელსა და არააღმასრულებელ თანამდებობებს შორის შეიცვალოს. იცით, რომ დღეს სებ-ის საბჭოში 5 არააღმასრულებელი პოზიციაა ვაკანტურების ჩათვლით და ის უნდა იყოს აღმასრულებელზე მეტი.

რთულია დროებით გადაწყვეტილებაზე რადიკალური განცხადებების გაკეთება. ეს დროებითი გადაწყვეტილება იყო და იცით პროცესები როგორ განვითარდა. ჩვენ გვაქვს პოზიცია, რომელიც გამოხატულია ჩვენს დასკვნაში“, – განაცხადა გაგუამ.

დაიძლევა თუ არა საკანონმდებლო ორგანოში პრეზიდენტის მიერ ახალ კანონზე დადებული ვეტო – ამ კითხვით „ბიემმა“ საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს **პაატა კვიჟინაძეს** მიმართა. იგი არ მიიჩნევს, რომ პრეზიდენტის ვეტო ახლავეა დასაძლევი, თუმცა ვერც იმას ამბობს ზუსტად, დაძლევს თუ არა პარლამენტი პრეზიდენტის ვეტოს.

„საქართველოს პრეზიდენტის მიერ ეროვნული ბანკის შესახებ კანონში შეტანილ ცვლილებებსა და ჩვენს ვერსიას შორის რაიმე პრინციპული სხვაობა არ არის. პრეზიდენტი მოგვყვება, მაგრამ ჩვენ უფრო ფართოდ გვქონდა გაწერილი, მას კი კონკრეტულ ერთ ნაწილზე ჰქონდა მითითებები. ვეტოსთან დაკავშირებულ საკითხებს რაც შეეხება არ მაქვს უფლებამოსილება რაიმე ვთქვა, ეს საკითხი უნდა განიხილოს კანონპროექტის ინიციატორებთან, გუნდთან, იურიდიულად უნდა იქნას ნანახი როგორი მდგომარეობაა, არ ვთვლი, რომ ახლავე დასაძლევია ვეტო...“, – განაცხადა კვიჟინაძემ და პრეზიდენტის მოტივირებულ შენიშვნებზეც ისაუბრა.

„პარლამენტში ყველა დაგვეთანხმა, რომ ეს კანონი მისაღები იყო. ამაში პრაქტიკულად პრეზიდენტიც დაგვეთანხმა, როდესაც მოტივირებული შენიშვნები დატოვა (ერთი პუნქტი, მე-15 მუხლის მეორე პუნქტი) და დანარჩენი გააუქმა. ის თვლის, რომ ეს კანონი მისაღები იყო, რომ მუნდოვანება არ ყოფილიყო ეროვნულ ბანკში.

რა განსხვავებაა ჩვენსა და სალომე ზურაბიშვილის კანონპროექტებს შორის? ჩვენ კანონპროექტში ის მოდელი გადმოვიტანეთ, რომელიც პარლამეტში, ჩვენს კომიტეტებში, აუდიტის სამსახურშია და ა.შ. არის პირველი პირი, რომელსაც ჰყავს პირველი პირი და შემდგომ მოადგილეები. ჩვენ ეს გადმოვიტანეთ ასე. ქალბატონმა პრეზიდენტმა ამოაგდო პირველი მოადგილე და დატოვა ის, რომ თუ პრეზიდენტი არ იქნებოდა, საბჭომ ერთ-ერთ მოადგილეს მისი მოვალეობის შესრულება დაავალოს, ეს არის სხვაობა“, – განაცხადა კვიჟინაძემ...

ბექა დანელია

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ „ᲣᲪᲮᲝᲔᲚᲘ ᲐᲒᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲠᲔ�გᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“

ᲛᲣᲮᲚᲘ 1.

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს ამ კანონის მიზნებისთვის აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) პირი – ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან ფიზიკურ პირთა ნებისმიერი სხვაგვარი გაერთიანება;

ბ) უცხოური ძალა –

ბ.ა) უცხო ქვეყნის ხელისუფლება ან უცხო ქვეყნის პოლიტიკური პარტია;

ბ.ბ.) საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ მყოფი პირი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს პირი საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირია და ცხოვრობდა საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს პირი არ არის ფიზიკური პირი, შექმნილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და თავის საქმიანობას საქართველოს ტერიტორიაზე ახორციელებს;

ბ.გ.) იურიდიული პირი ან ფიზიკურ პირთა ნებისმიერი სხვაგვარი გაერთიანება, რომელიც შექმნილია უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად ან რომელიც თავის ძირითად საქმიანობას უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე ახორციელებს;

გ) უცხოური ძალის აგენტი – უშუალოდ უცხოური ძალის კონტროლის, ბრძანების ან თხოვნის შესაბამისად ან პირდაპირ ან არაპირდაპირ, მთლიანად ან უმეტესწილად უცხოური ძალის მიერ კონტროლირებადი ან დაფინანსებული პირის კონტროლის, ბრძანების ან თხოვნის შესაბამისად მოქმედი ნებისმიერი პირი, რომელიც უშუალოდ ან სხვა პირის მეშვეობით:

გ.ა) უცხოური ძალის ინტერესებიდან გამომდინარე ჩართულია საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ აქტივობებში;

გ.ბ) უცხოური ძალის ინტერესებიდან გამომდინარე საქართველოში მოქმედებს როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობის საკითხების თაობაზე მრჩეველი, სარეკლამო აგენტი, საინფორმაციო სამსახურის თანამშრომელი ან პოლიტიკური მრჩეველი;

გ.გ) უცხოური ძალის ინტერესებიდან გამომდინარე საქართველოში აფინანსებს სხვადასხვა სუბიექტებს, სესხად გასცემს ფულს ან სხვა სახის ქონებას;

გ.დ) წარმოადგენს უცხოური ძალის ინტერესებს საქართველოს ხელისუფლების ორგანოებთან ურთიერთობის დროს.

შენიშვნა:

1. უცხოური ძალის აგენტად ასევე ითვლება ნებისმიერი პირი, ვინც ამ მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ქმედებას ყოველგვარი ხელშეკრულების გარეშე ახორციელებს, ასევე ნებისმიერი პირი, ვინც თავს უცხოური ძალის აგენტად წარმოაჩენს.

2. უცხოური ძალის აგენტად არ ითვლება მასობრივი ინფორმაციის საშუალება, თუ ის შექმნილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მისი ქონების არანაკლებ 80%-ის გენეფიციარი მესაკუთრე საქართველოს მოქალაქეა და ის არ იმართება, არ ფინანსდება ან არ კონტროლდება უცხოური ძალის მიერ.

დ) პოლიტიკური აქტივობა – ნებისმიერი აქტივობა, რომელიც საქართველოს საშინაო ან საგარეო პოლიტიკის განსაზღვრასთან ან შეცვლასთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლების ორგანოზე, თანამდებობის პირზე ან საზოგადოების რომელიმე ნაწილზე გავლენის მოხდენას ისახავს მიზნად, აგრეთვე უცხო ქვეყნის ხელისუფლების ან უცხო ქვეყნის პოლიტიკური პარტიის პოლიტიკასთან ან ინტერესთან დაკავშირებული ნებისმიერი აქტივობა;

ე) უცხო ქვეყნის ხელისუფლება – ნებისმიერი პირი, პირთა ჯგუფი ან ორგანო, რომელიც უშუალოდ ახორციელებს დე ფაქტო ან დე იურე პოლიტიკურ იურისდიქციას ნებისმიერ სხვა ქვეყანაში ან ნებისმიერი სხვა ქვეყნის რომელიმე ნაწილში, აგრეთვე ნებისმიერი პირი, პირთა ჯგუფი ან ორგანო, რომელზეც ასეთი უფლებამოსილების განხორციელება პირდაპირ ან არაპირდაპირ არის დელეგირებული;

ვ) უცხო ქვეყნის პოლიტიკური პარტია – ისეთ აქტივობებში ჩართული ორგანიზაცია ან ფიზიკურ პირთა ნებისმიერი გაერთიანება, რომლის მიზანია ხელისუფლების განხორციელებაში მონაწილეობა ან ხელისუფლების განხორციელებაზე გავლენის მოხდენა;

ზ) საზოგადოებრივი ურთიერთობის საკითხების თაობაზე მრჩეველი – ნებისმიერი პირი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ჩართულია უცხოური ძალის ინფორმირებაში ან მისთვის რჩევის მიცემაში, ასევე ნებისმიერი პირი, რომელიც უცხოურ ძალას წარმოადგენს საზოგადოებრივ ურთიერთობებში;

თ) პოლიტიკური მრჩეველი – ნებისმიერი პირი, რომელიც ჩართულია სხვა ნებისმიერი პირის ინფორმირებაში ან მისთვის რჩევის მიცემაში საქართველოს საშინაო ან საგარეო პოლიტიკასთან, უცხო ქვეყნის ხელისუფლების ან უცხო ქვეყნის პოლიტიკური პარტიის პოლიტიკასა და ინტერესებთან დაკავშირებით.

ᲛᲣᲮᲚᲘ 2.

ამ კანონის მე-3 მუხლის მოქმედება არ ვრცელდება შემდეგ უცხოური ძალის აგენტზე: ა) დიპლომატები და კონსულები, დიპლომატიური სამსახურისა და საკონსულო დაწესებულების თანამშრომლები;

ბ) უცხო ქვეყნის თანამდებობის პირები;

გ) პირი, რომელიც საქველმოქმედო საქმიანობას ეწევა;

დ) პირი, რომელიც რელიგიურ, საგანმანათლებლო, მეცნიერულ, აკადემიურ ან სახელოვნებო საქმიანობას კეთილსინდისიერად ეწევა;

ე) უცხოური ძალის ადვოკატი საადვოკატო საქმიანობის განხორციელების ფარგლებში; ვ) ამ კანონის პირველი მუხლის „ბ.ბ.“ და „ბ.გ.“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სუბიექტების აგენტი, რომელიც ლობისტურ საქმიანობას ეწევა და ამ სუბიექტების წარმომადგენლობასთან დაკავშირებით დარეგისტრირებულია როგორც ლობისტი „ლობისტური საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ᲛᲣᲮᲚᲘ 3.

1. პირი, რომელიც ამ კანონის პირველი მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პირობებს აკმაყოფილებს, ვალდებულია უცხოური ძალის აგენტად რეგისტრაციის შესახებ განცხადებით საქართველოს გენერალურ პროკურორს მიმართოს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული განცხადება საქართველოს გენერალურ პროკურორს უნდა წარედგინოს ამ კანონის პირველი მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პირობის წარმოშობიდან 10 დღის ვადაში.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული განცხადება შემდეგ მონაცემებს უნდა შეიცავდეს:

ა) განმცხადებლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მისამართი, ინფორმაცია ეროვნებისა და მოქალაქეობის შესახებ;

ბ) იურიდიული პირის ან ფიზიკურ პირთა ნებისმიერი სხვაგვარი გაერთიანების სახელწოდება, თითოეული დამფუძნებლისა და ხელმძღვანელის შესახებ ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული ინფორმაცია, განცხადებასთან ერთად წარდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი იურიდიული პირის ან ფიზიკურ პირთა ნებისმიერი სხვაგვარი გაერთიანების წესდება;

გ) იურიდიულ პირში ან ფიზიკურ პირთა ნებისმიერ სხვაგვარ გაერთიანებაში დასაქმებული ყველა პირის ვინაობა;

დ) ყველა იმ უცხოური ძალის ვინაობა/დასახელება და მისამართი, რომლის სასარგებლოდაც განმცხადებელი მოქმედებს;

ე) უცხოური ძალის სასარგებლოდ შესრულებული სამუშაოს აღწერილობა;

ვ) ინფორმაცია უცხოური ძალისგან მიღებული დაფინანსების შესახებ, ასევე უცხოური ძალის მიერ განმცხადებლის მიმართ განხორციელებული მაკონტროლებელი და საზედამხედველო ღონისძიებების შესახებ;

ზ) ინფორმაცია უცხოურ ძალასთან გაფორმებული წერილობითი და ზეპირი ხელშეკრულებების შესახებ, ასევე ინფორმაცია ამ ხელშეკრულებებიდან გამომდინარე განმცხადებლის მიერ განხორციელებული ქმედებების შესახებ. განცხადებასთან ერთად წარდგენილი უნდა იქნეს წერილობითი ხელშეკრულებების ასლები;

თ) დეტალური ინფორმაცია იმ ფულადი თანხისა და ქონების ხარჯვის შესახებ, რაც განმცხადებელმა უცხოური ძალისგან მიიღო.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა იმავე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ განცხადებაში შესატანი სხვა ინფორმაციისა და იმავე განცხადებასთან ერთად წარსადგენი სხვა დოკუმენტების ნუსხა, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საჯარო ინტერესების დაცვის აუცილებლობის გათვალისწინებით, საქართველოს გენერალური პროკურორის მიერ განისაზღვრება.

4. ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია უცხოური ძალის აგენტმა საქართველოს გენერალურ პროკურორს იმავე ინფორმაციის უკანასკნელად წარდგენიდან ყოველი 6 თვის შემდეგ, 1 თვის ვადაში უნდა წარუდგინოს. სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საჯარო ინტერესების დაცვის აუცილებლობის გათვალისწინებით, საქართველოს გენერალური პროკურორი უფლებამოსილია უცხოური ძალის აგენტს ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის წარმოდგენა უფრო მცირე დროის ინტერვალებით მოსთხოვოს.

5. განმცხადებლის/უცხოური ძალის აგენტის მიერ ამ მუხლის შესაბამისად წარდგენილი ყველა ინფორმაცია და დოკუმენტი საჯაროა. ამ ინფორმაციის გაცნობის წესს საქართველოს გენერალური პროკურორი განსაზღვრავს.

ᲛᲣᲮᲚᲘ 4.

1. უცხოური ძალის აგენტი, რომელიც უცხოური ძალის ინტერესთან დაკავშირებულ ნებისმიერ ინფორმაციას ფოსტის ან სხვა საშუალების გამოყენებით აგზავნის, ვალდებულია ამ ინფორმაციის გაგზავნიდან არაუგვიანეს 48 საათისა, იგივე ინფორმაცია საქართველოს გენერალურ პროკურორს წარუდგინოს.

2. საქართველოს გენერალური პროკურორისთვის ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია საჯაროა. ამ ინფორმაციის წესს საქართველოს გენერალური პროკურორი განსაზღვრავს.

3. დაუშვებელია უცხოური ძალის აგენტმა საქართველოს ხელისუფლების ორგანოს ან თანამდებობის პირს უცხოური ძალის ინტერესებიდან გამომდინარე და მის სასარგებლოდ საქართველოს საშინაო ან საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული ინფორმაციის მისაღებად იმგვარად მიმართოს, რომ წინასწარ არ განაცხადოს მისი უცხოური ძალის აგენტად რეგისტრაციის შესახებ.

4. საქართველოს პარლამენტში შექმნილი დროებითი საგამოძიებო კომისიისთვის უცხოურ ძალასთან დაკავშირებული ახსნა-განმარტების მიცემამდე, უცხოური ძალის აგენტი ვალდებულია კომისიას წარუდგინოს უახლესი ინფორმაცია მისი უცხოური ძალის აგენტად რეგისტრაციის შესახებ.

ᲛᲣᲮᲚᲘ 5.

1. უცხოური ძალის აგენტი ვალდებულია უზრუნველყოს ყველა იმ ინფორმაციის უსაფრთხოდ შენახვა, რომელიც უცხოურ ძალასთან არის დაკავშირებული. აღნიშნული ინფორმაცია უცხოური ძალის აგენტმა უნდა შეინახოს უცხოური ძალის აგენტად რეგისტრაციის ვადით, ასევე რეგისტრაციის გაუქმებიდან 3 წლის განმავლობაში.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შესანახი ინფორმაციის ნუსხა, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საჯარო ინტერესების დაცვის აუცილებლობის გათვალისწინებით, საქართველოს გენერალური პროკურორის მიერ განისაზღვრება.

ᲛᲣᲮᲚᲘ 6.

უცხოური ძალის აგენტის მიერ (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც უცხოური ძალის აგენტი ფიზიკური პირია) ამ კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება უცხოური ძალის აგენტის ხელმძღვანელმა პირმა უნდა უზრუნველყოს.

ᲛᲣᲮᲚᲘ 7.

ამ კანონით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება იწვევს საქართველოს კანონით დადგენილ პასუხისმგებლობას.

ᲛᲣᲮᲚᲘ 8.

1. ამ კანონის პირველი-მე-7 მუხლის ამოქმედებიდან 10 დღის ვადაში ამ კანონის პირველი მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირი ვალდებულია საქართველოს გენერალურ პროკურორს ამ კანონით დადგენილი წესით განცხადებით მიმართოს.

2. ამ მუხლით გათვალისწინებული შესაბამისი სამართლებრივი აქტები საქართველოს გენერალურმა პროკურორმა მიიღოს ამ კანონის ამოქმედებიდან 60 დღის ვადაში.

ᲛᲣᲮᲚᲘ 9.

1. ეს კანონი, გარდა პირველი-მე-7 მუხლებისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი-მე-7 მუხლები ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-60 დღეს.

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡᲒᲐᲜ

ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝ განხილვისა და დახვეწის შემდეგ ამ კანონპროექტის მიუღებლობას, დაბლოკვას, ვეტოს დადებას და სანაგვეზე გადაგდებას ვერცერთი თანამედროვე გაიძვერა ვექილი (ჩვენიც და უცხოელიც!) ვერ მოუძებნიდა გამართლებას!

მაშ, რა გაწუხებთ ამერიკისა და ევროპის ქვეყნების დიპლომატებო და კონსულებო, ნებისმიერი თანამდებობის პირებო, სპონსორებო და ქველმოქმედებო; საგანმანათლებლო, სამეცნიერო, აკადემიურ, რელიგიურ ან სახელოვნებო დარგების მოღვაწენო; უცხოური ძალის კეთილსინდისიერო ადვოკატებო და ლობისტებო – თქვენ ხომ უცხო ძალის აგენტებად ეს კანონპროექტი საერთოდაც არ გაღიარებთ?! მაშ, რა დამანგრეველი ქარიშხალი ატეხეთ ჭიქაში, რას ემართლებით ამ უძველესი ისტორიისა და კულტურის მქონე პატარა ქვეყანას?

რას ხედავთ მიუღებელს იმაში, რომ: უცხოური ძალის აგენტად არ ითვლება მასობრივი ინფორმაციის არცერთი საშუალება, თუ ის შექმნილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, თავისი ქონების არანაკლებ 80 პროცენტის მესაკუთრე საქართველოს მოქალაქის მიერ და ის არ იმართება, არ ფინანსდება, არ კონტროლდება უცხოური ძალისგან?! ბოლოს და ბოლოს, თქვენ ქართველი ხალხის მიერ არჩეული დღევანდელი ხელისუფლების, ანუ ქართველი ხალხის აბსოლუტური უმრავლესობის მხარდამჭერი ხართ თუ... ისევ თქვენგან ხელდასხმული და კარგად დაფინანსებული, ჭეშმარიტი დემოკრატიის და თავისუფლების მტერი, 30 გროშად გაყიდული ენჯეოებისა და მსოფლიო პოლიტიკის მოუშორებელი ჭირის – ნაციონალური მოძრაობისა?!

* * *

ᲑᲝᲚᲘᲛᲨ ᲕᲘᲮᲓᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ 105 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲗᲐ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ... ᲛᲘᲛᲘᲨᲣᲠᲗᲮᲔᲑᲘᲐ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲣᲠᲘ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ!

NATO – „ხალხის ძალის“ კანონ-პროექტი „უკან გადადგმული ნაბიჯია“

NATO „ხალხის ძალის“ კანონ-პროექტის პარლამენტში განხილვით შეშფოთებულია.

„NATO შეშფოთებულია საქართველოს პარლამენტში „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტის განხილვით. მრავალი წელია, მოკავშირეები და საქართველოს მთავრობა, საქართველოს ყოველწლიური ეროვნული პროგრამის კონტექსტში, განიხილავენ საქართველოს ძალისხმევას დემოკრატიის გასაძლიერებლად, რომელიც მიზნად ისახავს, მოამზადოს საქართველო NATO-ში საბოლოო გაწევრიანებისთვის. მედიის თავისუფლების უზრუნველსაყოფად სათანადო სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩოების არსებობის აუცილებლობა და პოლიტიკის დებატებში სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის ხელშეწყობა ამ კუთხით მთავარია. ამ მხრივ შემოთავაზებული კანონმდებლობა წარმოადგენს უკან გადადგმულ ნაბიჯს“, – განუცხადეს „ფორმულას“ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში.

ცნობისთვის: საქართველოს საერთაშორისო პარტნიორები მწვავე შეფასებებით გამოეხმაურნენ „უცხოური გავლენის აგენტების“ შესახებ კანონპროექტს, რომლის ინიცირებაც პარლამენტში „ქართული ოცნების“ მოკავშირე „ხალხის ძალის“ დეპუტატების სახელით მოხდა. საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის ჟოზეფ ბორელის პრეს-სპიკერის განცხადებაში ნათქვამია, რომ „კანონპროექტის მიღება შეუთავსებელი იქნება ევროკავშირის ნორმებსა და ღირებულებებთან“.

24 თებერვალს საქართველოში ევროკავშირის ელჩმა პაველ ჰერჩინსკიმ განაცხადა, რომ კანონპროექტი შეუთავსებელია ევროკავშირის 12 რეკომენდაციასთან. მანამდე, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა კანონ-პროექტი მკაცრად გააკრიტიკა.

27 თებერვალს ვაშინგტონში გამართულ ბრიფინგზე სახელმწიფო დეპარტამენტის პრეს-სპიკერმა ნედ პრაისმა ისევ ღრმა შეშფოთების საფუძველი უწოდა საქართველოს პარლამენტში დარეგისტრირებულ კანონ-პროექტს „უცხოური გავლენის შესახებ“ და განაცხადა, რომ „კანონის მიღებამ შესაძლოა, ძირი გამოუთხაროს საქართველოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციას“. კანონპროექტის მიხედვით, ყველა, ვინც „უცხოური გავლენის აგენტად“ მოიაზრება, ვალდებულია, დარეგისტრირდეს საჯარო რეესტრში, ამავე სახელწოდების ბაზაში.

დოკუმენტის მიხედვით, „უცხოური გავლენის აგენტებად“ მოიაზრებიან:

ყველა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, მათ შორის ყველა არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლის წლიური შემოსავლის 20 პროცენტზე მეტი „უცხოური ძალაა“. თუმცა, არა – სახელმწიფო ორგანიზაციები ან საქართველოს კანონმდებლობით დაფუძნებული სპორტული ფედერაციები;ტელევიზიები, რომელთა შემოსავლის 20 პროცენტზე მეტი „უცხოური ძალაა“; მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, მათ შორის გაზეთები და ონლაინ მედიასაშუალებები, რომელთა შემოსავლის 20 პროცენტზე მეტი „უცხოური ძალაა“.

პარლამენტში ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ მამუკა მდინარაძემ განაცხადა, რომ მხარს დაუჭერენ „უცხოური გავლენის აგენტების“ შესახებ კანონპროექტს.

27 თებერვალს „ხალხის ძალამ“ პარლამენტის ბიუროს წარუდგინა რიგით მეორე კანონპროექტი, რომლის სახელწოდებაა „უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ“. პროექტის გათვალისწინებით, უცხოეთის აგენტად რეგისტრაციის ვალდებულება ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ექნება, რომელიც დაფინანსებას უცხოეთიდან იღებს.

კანონის მოქმედება არ გავრცელდება დიპლომატებზე, კონსულებზე და დიპლომატიური სამსახურისა და საკონსულო დაწესებულების თანამშრომლებზე. კანონი ასევე არ შეეხება უცხო ქვეყნის თანამდებობის პირებს, პირს, რომელიც საქველმოქმედო საქმიანობას ეწევა და პირს, „რომელიც რელიგიურ, საგანმანათლებლო, მეცნიერულ, აკადემიურ ან სახელოვნებო საქმიანობას კეთილსინდისიერად ეწევა“.

კანონპროექტის თანახმად, სუბიექტები, რომლებიც კანონპროექტით დადგენილ უცხოური ძალის აგენტის კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ, ვალდებული ხდებიან, გენერალურ პროკურორს მიმართონ და უცხოური ძალის აგენტად დარეგისტრირება მოითხოვონ. „უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას იწვევს და იქნება დასჯადი ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით – ვადით 5 წლამდე.

მოძრაობა „ხალხის ძალა“ აცხადებს, რომ მმართველ პარტია „ქართულ ოცნებასთან“ კონსულტაციით, „უცხოური გავლენის აგენტების“ კანონპროექტის ქართულ და ამერიკულ ვერსიებს ვენეციის კომისიაში გაგზავნიან.

ნანა კაკაბაძე: „ნეიტრალური“, „მიუკერძოებელი“, „აპოლიტიკური“

უფლებადამცველების სახელით მოქმედი მედია და „ენჯეოები“ რეალურად არა მხოლოდ ანტისახელისუფლებო, არამედ ხშირად ანტი-სახელმწიფოებრივი ქმედებებითაც გამოირჩევიან!

„საზოგადოების ინტერესებშია შეიქმნას გარედან დაფინანსებულ ორგანიზაციათა ერთიანი რეესტრი, რომელშიც ეს ორგანიზაციები მიუთითებენ დონორებს, მათგან მიღებული გრანტების ოდენობას და პროექტის შინაარსს. ასეთის არსებობის შემთხვევაში ყველასთვის ხელმისაწვდომი და გამჭვირვალე იქნება დონორებისგან მიღებული თანხების ოდენობაც, მიზნებიც, ამოცანებიც და სამიზნე ჯგუფებიც. ყველას შეეძლება აკონტროლოს, რამდენად ადეკვატურად ასრულებენ ისინი პროექტით გათვალისწინებულ ღონისძიებებს“, – ამის შესახებ არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე **ნანა კაკაბაძე** წერს.

როგორც **კაკაბაძე** აღნიშნავს, გვერისთვის გაუგებარია, თუ რატომ გადადგა ეს ნაბიჯი ხელისუფლებამ, ან რატომ მოჰყვა მწვავე რეაქცია „ხალხის ძალის“ მიერ დაინიცირებულ კანონპროექტს, თუმცა, მისივე თქმით, უცხოელი პატრონების მიერ დაფინანსებული ნეიტრალური, აპოლიტიკური უფლებადამცველების სახელით მოქმედი მედია და არასამთავრობოები, ანტისახელისუფლებო და ხშირად ანტისახელმწიფოებრივი ქმედებებითაც გამოირჩევიან. შესაბამისად, ნანა კაკაბაძის განცხადებით, გასაკვირი არ არის, რომ ხელისუფლება ცდილობს საფრთხეებისგან ქვეყნის დაცვის სამართლებრივი მექანიზმების შემოტანას.

„საეჭვო შიშები მოლო დღეებში უცხოური გავლენის აგენტების შესახებ დისკუსიამ გადაფარა ყველა სხვა საკითხი. ბევრისთვის გაუგებარია, რატომ აიტკივა აუტკივარი თავი ხელისუფლებამ, ან ასე რამ გაამწარათ არასამთავრობო ორგანიზაციები და მედიის წარმომადგენლები.

ვარდების რევოლუციად წოდებულმა 2003 წლის სახელმწიფო გადატრიალებამ პრაქტიკულად გაანადგურა NGO სექტორი.მათი ყველაზე აქტიური წარმომადგენლები წამოასკუპა წამყვან პოლიტიკურ თანამდებობებზე. რევოლუციის შემდეგ, ხელისუფლებაში მოსული №1 უფლებადამცველები, იქცნენ №1 უფლებადამრღვევებად. ქართველმა საზოგადოებამ მათ მმართველობას სისხლიანი რეჟიმი უწოდა.

2003 წლის შემდეგ ქვეყანაში გაქრა ის, რასაც ჩვენ დამოუკიდებელ, არაპოლიტიზირებულ უფლებადაცვით საქმიანობას ვეძახდით. ის ჩანაცვლდა „ენჯეოს“ სახელით მოქმედი ნაცების პარტიული უჯრედებით. ხელისუფლების მთავარ ძალად ქცეულთა დანარჩენმა წევრებმა გააგრძელეს საქმიანობა იმავე არასამთავრობოების სახელით. კიდევ უფრო გასაკვირია, ის ფაქტი, რომ ფონდებმა, რომელთაც კანონით ეკრძალებათ სხვა ქვეყნის პოლიტიკაში ნებისმიერი სახით ჩარევა, თავზე ნაცარი წაიყარეს და გააგრძელეს ახლა უკვე ოპოზიციონერთა პოლიტიკური დანამატების დაფინანსება, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების. ამგვარი ორგანიზაციების წლიურმა ბრუნვამ მილიონებს გადააჭარბა. იგივე ეხება პარტიულ მედიასაც, რომლის წარმომადგენლებიც ცდილობენ პოზიციონირობას ე. წ. კრიტიკული მედიის სახელით, თუმცა, ყველა ხედავს, რომ ისინი ფაქტობრივად წარმოადგენენ პარტიული ინტერესების გამტარებელ პოლიტიკური ორგანიზაციების პრეს-ცენტრებს.

ამიტომაც ამგვარი „არასამთავრობოებისა“ და „დამოუკიდებელი“ მედიის რეიტინგი საქართველოში სულ უფრო და უფრო უახლოვდება ნულს. ეს ტენდენცია აშკარად გამოჩნდა ორიოდე წლის წინ, როდესაც მედია და „ენჯეო“ სექტორის წარმომადგენლებმა სცადეს ურეიტინგო პოლიტიკური პატიების ჩანაცვლება და სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა, საკუთარი ჩრდილოვანი მინისტრთა კაბინეტის ჩამოყალიბებით, რომელიც იმ ეტაპზე უშედეგოდ დასრულდა.

ათასჯერ ნული მაინც ნულია. ხალხის ძალის მიერ დაინიცირებულ კანონპროექტს, რომელსაც შედეგად უნდა მოჰყვეს არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის გამჭვირვალობა, დიდი ვნებათა ღელვა მოჰყვა. დაიწყო მათი მხრიდან იმის მტკიცება, რომ ხელისუფლება აქ რუსული რეჟიმის დამყარებას ცდილობს, ვინაიდან 10-11 წლის წინ პუტინის მიერ ე. წ. აგენტების შესახებ ამერიკული კანონის მსგავსი კანონი იქნა მიღებული რუსეთშიც.

არასამთავრობოთა ამ ჯგუფს, რომლებზეც ზემოთ ვისაუბრეთ არ სურს დაინახოს ხელისუფლების ლოგიკური შიშები, რომ უცხოელი პატრონების მიერ დაფინანსებული ე. წ. ნეიტრალური, მიუკერძოებელი, აპოლიტიკური უფლებადამცველების სახელით მოქმედი მედია და „ენჯეოები“ რეალურად არა მხოლოდ ანტისახელისუფლებო, არამედ ხშირად ანტისახელმწიფოებრივი ქმედებებითაც გამოირჩევიან.

მათი დამფინანსებლების მიზნები კი ხშირად შეიძლება სულაც არ იყოს კეთილშობილური და ჩვენი ქვეყნის ინტერესებზე მორგებული. ასეთ ვითარებაში მიგვაჩნია, საზოგადოების ინტერესებშია შეიქმნას გარედან დაფინანსებულ ორგანიზაციათა ერთიანი რეესტრი, რომელშიც ეს ორგანიზაციები მიუთითებენ დონორებს, მათგან მიღებული გრანტების ოდენობას და პროექტის შინაარსს.

ასეთის არსებობის შემთხვევაში ყველასთვის ხელმისაწვდომი და გამჭვირვალე იქნება დონორებისგან მიღებული თანხების ოდენობაც, მიზნებიც, ამოცანებიც და სამიზნე ჯგუფებიც. ყველას შეეძლება აკონტროლოს, რამდენად ადეკვატურად ასრულებენ ისინი პროექტით გათვალისწინებულ ღონისძიებებს. ჩვენი ქვეყანა ორჯერ იყო სახელმწიფო გადატრიალების მსხვერპლი და ორჯერვე ეს მოხდა გარედან ჩადებული დიდი ფულით. ამიტომ სულ არ არის გასაკვირი, რომ ხელისუფლება ცდილობდეს შემოიტანოს საფრთხეებისგან ქვეყნის დაცვის სამართლებრივი მექანიზმები. თუმცა, შესაძლებელია, რომ ეს ყოველივე განხორციელდეს უცხოური გავლენის აგენტების ან სხვა მწვავე იარლიყების მიკერების გარეშე“, – წერს კაკაბაძე.

კავკასიის უნივერსიტეტის კიდევ ერთი წარმატება

შეხვედრა იოჰანესბურგში

ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული უმაღლესი სასწავლებელი, კავკასიის უნივერსიტეტი სასიხარულო ინფორმაციას ავრცელებს.

გაეროს უნივერსიტეტის ამჟამინდელი პრეზიდენტის, კავკასიის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის, პროფესორ ტშიილიძე მარვალას თაოსნობით, კავკასიის უნივერსიტეტის რექტორს ბატონ კახა შენგელიას იოჰანესბურგის უნივერსიტეტის უმაღლესი ჯილდო გადაეცა გლობალური წარმატებისა და მიღწეული შედეგებისთვის.

დაჯილდოების ცერემონია ახლახან იოჰანესბურგის უნივერსიტეტში გაიმართა, სადაც ამავე უნივერსიტეტის პრეზიდენტმა, პროფესორმა ლეტოკვა მპედიმ პირადად დააჯილდოვა კახა შენგელია ამ პრესტიჟული ჯილდოთი.

„CU-ის პრეზიდენტს გადავცემთ ჯილდოს განსაკუთრებული ერთგულების, გლობალური უმაღლესი განათლების მსოფლიო ხედვის გაღრმავებისთვის, ასევე განათლების მეშვეობით მშვიდობისა და საერთაშორისო ურთიერთთანამშრომლობის ხელშეწყობისთვის“ – თქვა იოჰანესბურგის უნივერსიტეტის პრეზიდენტმა დაჯილდოების ცერემონიაზე

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ დუბაიში იგიგემება კავკასიის უნივერსიტეტის კამპუსის გახსნა.

– ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა გვქონდა საქართველოს ელჩთან არაბთა გაერთიანებულ საემიროებში – პაატა კალანდაძესთან. შეხვედრაზე განვიხილეთ დეტალები კავკასიის უნივერსიტეტის კამპუსის დუბაიში გახსნის პროექტთან დაკავშირებით. დიდი მადლობა ბატონ პაატას მხარდაჭერისთვის, წინ ძალიან შთამბეჭდავი და მნიშვნელოვანი ამბები გველოდება

შეხვედრა დუბაიში

– დაწერა სოციალურ მედიაში ბატონმა კახამ. წარმატება გვინდა ვუსურვოთ, კავკასიის უნივერსიტეტს და მის რექტორს, რომელიც საშვილიშვილო საქმეს აკეთებს, არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

საქსტატი:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები ძალას იკრებს!

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2022 წლის გოლოსთვის, საქართველოში 94 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება ფუნქციონირებდა, მათ შორის 42 საჯარო, ხოლო 52 კერძო.

საქსტატის ცნობით, 2022 წელს პროფესიულ **საგანმანათლებლო დაწესებულებებში 14 103 სტუდენტი ჩაირიცხა, რომელთაგან 46.6 პროცენტი ქალია, ხოლო 53.4 პროცენტი – კაცი.**

2021 წელთან შედარებით, სტუდენტების მიღების მაჩვენებელი გაზრდილია 25.9 პროცენტით. რეგიონების მიხედვით, ჩარიცხული სტუდენტების რიცხოვნობით ლიდერობს თბილისი (36.7%), რომელსაც მოსდევს აჭარა (19.9%), იმერეთი (10.0%), სამეგრელო-ზემო სვანეთი (9.4%), კახეთი (6.1%) და ქვემო ქართლი (6.0%).

უწყების მონაცემებით, **2022 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე 263 სტუდენტი ჩაირიცხა, რომელთაგან 38.8 პროცენტი ქალია, ხოლო 61.2 პროცენტი კაცი. რეგიონების მიხედვით, ყველაზე მეტი სტუდენტი ჩაირიცხა თბილისში (47.5%), მეორე ადგილზე კი იმერეთია (9.9%).**

ამასთან, **საქსტატის ინფორმაციით, გასულ წელს კურსდამთავრებულთა რიცხოვნობამ 7 605 სტუდენტი შეადგინა, რომელთაგან 48.8 პროცენტი ქალია, ხოლო 51.2 პროცენტი კაცი. კურსდამთავრებულთა უმეტესობა მოდის ინჟინერიის, წარმოების და მშენებლობის (24.2%), მომსახურებების (20.4%), ბიზნესის, ადმინისტრირების და სამართლის (13.8%), ჯანდაცვის და სოციალური კეთილდღეობის (13.3%) პროგრამებზე.**

მთავარია ხარისხი და არა რაოდენობა!

ბაკალავრიატის 178 450 სტუდენტიდან 68 491-ს სტატუსი აქვს შეჩერებული!

ბაკალავრიატის საფეხურზე აღირიცხება 178 450 სტუდენტი, რომელთაგან სტატუსი შეჩერებული აქვს 68 491 სტუდენტს, ხოლო მათგან 28 590-ს – ფინანსური დავალიანების გამო. ინფორმაცია განათლების და მეცნიერების სამინისტრომ საპარლამენტო ოპოზიციის დეპუტატს ანა ბუჩუკურს მიაწოდა.

ბუჩუკურის სადეპუტატო კითხვა დღეის მდგომარეობით, ბაკალავრიატის საფეხურზე მყოფი სტუდენტებისთვის სტატუსის შეჩერებას ეხებოდა.

– ფინანსური დავალიანების გამო სტატუსშეჩერებული სტუდენტებიდან 1064 პირი არის უცხო ქვეყნის მოქალაქე; 851 პირს აქვს აქტიური სტატუსი სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე; 1031 სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან გასულია 5 წელზე მეტი; 754 სტუდენტს სტატუსი შეჩერებული აქვს 2 ან მეტ საგანმანათლებლო პროგრამაზე; 2702 სტუდენტს მოპოვებული აქვს სახელმწიფო-სასწავლო-სოციალური გრანტი; ხოლო 1051 სარგებლობდა პრიორიტეტული პროგრამული დაფინანსებით.

ამგვარად, წარმოგიდგენთ ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით დათვლილი მონაცემების ცხრილს 13.02.2023-ის მდგომარეობით, – ნათქვამია განათლების მინისტრის მიერ ხელმოწერილ წერილში.

განათლების სამინისტროს განმარტებით, მოქმედი კანონმდებლობით სტუდენტის სტატუსის შეჩერებად განიხილება დაწესებულებისა და სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან გათავისუფლება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველი შესაძლოა იყოს სტუდენტის პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე); უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა, გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა; ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება; ფინანსური დავალიანება ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით გათვალისწინებული სხვა გარემოება.

ა) სტატუსშეჩერებულ სტუდენტს აქვს უფლება გაიაქტიუროს სტატუსი;ბ) სტუდენტმა სტატუსი შეიძლება შეიჩეროს რამდენჯერმე;გ) ერთ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში სტატუსშეჩერებული სტუდენტი შეიძლება აქტიური იყოს სხვა უმაღლეს სასწავლებელში ან/და სხვა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაზე.

„ამასთან, უმაღლესი განათლების კანონის საფუძველზე პირი სახელმწიფოს მიერ ერთ საფეხურზე ერთხელ ფინანსდება. შესაბამისად, ფინანსური დავალიანების გამო სტატუსი შეიძლება შეუჩერდეს სტუდენტს, რომელსაც ამოეწურა სახელმწიფო სასწავლო გრანტი ან/და სრულად ისარგებლა პრიორიტეტული პროგრამული დაფინანსებით და სწავლას აგრძელებს დამატებით სემესტრში“, – განმარტავენ განათლების სამინისტროში.

აჭარის პოპულარიზაცია – უნგრეთსა და დანიაში

აჭარის პოპულარიზაცია საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებზე გრძელდება. რეგიონის ტურისტული პროდუქტები და სერვისები უნგრეთისა და დანიის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებზე იყო წარმოდგენილი.

ღონისძიებების ფარგლებში უნგრელ და დანიელ ვიზიტორებს საშუალება ჰქონდათ რეგიონის მრავალფეროვან ტურისტულ მიმართულებებს გასცნობოდნენ და საქართველოში მოგზაურობის შესახებ მიეღოთ ინფორმაცია. აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა უნგრეთსა და დანიაში საქმიანი შეხვედრები გამართეს ტურისტული კომპანიების, ასოციაციების, მედიისა და ავიაკომპანიების წარმომადგენლებთან. მათ შორის, იყო შეხვედრები უნგრეთის ტურიზმის ასოციაციის ფონდის პრეზიდენტთან, wizzair-ის, budapest time-ის, dailynews-ის, hungary-ის, უნგრეთის აეროპორტისა და სხვადასხვა წამყვანი მარკეტინგულ კომპანიების წარმომადგენლებთან. დეპარტამენტი საერთაშორისო ღონისძიებებზე ტურიზმის ეროვნული ადმინიტრაციისა და ტურისტული კომპანიების წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობდა.

გადამზადებული პანკისელი პედაგოგები

კომუნიკაციების კომისიამ მედიაწიგნიერების ფორმალურ განათლებაში ინტეგრირების პროექტის ფარგლებში, პანკისის ხეობის 30-ზე მეტი პედაგოგი გადაამზადა. შეხვედრებს მედიაწიგნიერების ტრენერი, ანი გვეტაძე გაუძღვა და მასწავლებლებთან ერთად, მედიაწიგნიერების საგნის სკოლებში დანერგვისა და სწავლების საკითხები განიხილა. პროექტი მთელი ქვეყნის მასშტაბით, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ პუნქტებში ხორციელდება.

მედიაწიგნიერების ფორმალურ განათლებაში ინტეგრირების **პროექტი მე-10 კლასელებისთვის არჩევითი საგნის დამატებას ემსახურება, რომელსაც მოსწავლეები გადამზადებული მასწავლებლების ხელმძღვანელობით, 1 სემესტრის განმავლობაში გაივლიან და მედიაწიგნიერების, მედიისა და ინფორმაციის ენის, ინფორმაციის დამუშავებისა და დეზინფორმაციის შესახებ ისწავლიან.**

შეგახსენებთ, რომ „მედიაწიგნიერების ფორმალურ განათლებაში ინტეგრირების“ პროექტს კომუნიკაციების კომისია გაეროს ბავშვთა ფონდის დაფინანსებით და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით ახორციელებს. პროექტი მიზნად საქართველოს ყველა რეგიონიდან ჯამში 500 მასწავლებლის გადამზადებას ისახავს.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი: საქართველო დარჩა ამერიკის მტკიცე პარტნიორად უსაფრთხოების მიმართულებით

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა ტერორიზმის შესახებ 2021 წლის ანგარიში გამოაქვეყნა. ყოველწლიურ ანგარიშში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებთან ერთად, შეფასებულია საქართველოს მიერ განხორციელებული ღონისძიებები ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით.

დოკუმენტში ნათქვამია, რომ **საქართველომ გააგრძელა ურყევი ჩართულობა კონტრტერორიზმის საკითხებში და დარჩა ამერიკის შეერთებული შტატების მტკიცე პარტნიორად უსაფრთხოების მიმართულებით.**

ანგარიშში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ **საქართველოში ტერორიზმთან დაკავშირებული სიტუაცია 2021 წელს იყო მშვიდი და სტაბილური, ტერორისტული ინციდენტები არ გამოვლენილა!**

დოკუმენტის თანახმად, **2021 წელს საქართველომ გაატარა შემდგომი ზომები საზღვრების უსაფრთხოებისთვის და დააკავა საქართველოს ხუთი მოქალაქე „ისლამურ სახელმწიფოსთან“ დაკავშირებული ტერორიზმის ბრალდებებით. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტული დანაყოფი განაგრძობს რეგულარული წვრთნებისა და აღჭურვილობის მიღებას, მათ შორის, საერთაშორისო პარტნიორებისგან.**

სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ **კონტრტერორისტული კანონმდებლობის გაძლიერების მიზნით, საქართველოში ძალაში შევიდა ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ განახლებული კანონმდებლობა და ქვეყანამ შეიმუშავა 2022-2026 წლების ეროვნული კონტრტერორისტული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, მას შემდეგ, რაც წინა კონტრტერორისტულ სტრატეგიას ამოეწურა ვადა.**

ანგარიშის მიხედვით, **საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ახდენს ტერორიზმისა და იმ აქტების კრიმინალიზაციას, რომლებიც ხელს უწყობენ ტერორიზმს, მათ შორის, ტერორიზმის დაფინანსებას, კიბერტერორიზმს, წვრთნების ჩატარებას, წაქეზებას და ტერორისტულ ორგანიზაციაში გაწევრიანების მიზნით პირის გადამირებას, ასევე, უცხოელ ტერორისტ მებრძოლებს. მთავრობამ, ასევე, დაამტკიცა ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების შემცირების ეროვნული სტრატეგია (2021-30) და სამოქმედო გეგმა (2021-23).**

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი დოკუმენტში აღნიშნავს, რომ **საქართველოს, ზოგადად, შესწევს უნარი გამოავლინოს, შეაკავოს და რეაგირება მოახდინოს ტერორიზმის ინციდენტებზე.**

დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ **2021 წელს საქართველო მუშაობდა სახმელეთო საზღვრისა და საზღვაო უსაფრთხოების გაძლიერების მიმართულებით. სასაზღვრო პოლიციამ განახორციელა პროექტები საქართველოს სახმელეთო საზღვრებზე პატრულირების, მეთვალყურეობისა და შეკავების შესაძლებლობების გასაძლიერებლად. საქართველომ დაასრულა სახმელეთო საზღვრის ერთი სეგმენტის მშენებლობა თურქეთთან საზღვარზე და ერთის – აზერბაიჯანთან საზღვარზე.**

სასაზღვრო პოლიციამ გააძლიერა გამოვლენის შესაძლებლობები მობილური დაკვირვების ორი დამატებითი სისტემით და გაზარდა ოპერატიული პერსონალის რაოდენობა საქართველოს საზღვრებზე. შეიქმნა საზღვრის მართვისა და კოორდინირების სამმართველო შინაგან საქმეთა სამინისტროს ფარგლებში, შიდაუწყებრივი და უწყებათაშორისი თანამშრომლობისა და რისკების მართვის გასაუმჯობესებლად.

გარდა ამისა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საქართველოს სანაპირო დაცვა უზრუნველყო ახალი რადარის, კომუნიკაციისა და სამეთვალყურეო სისტემებით, საქართველოს საზღვაო სფეროში კონტროლის შესაძლებლობების გასაძლიერებლად.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ **ეროვნული მართვისა და კონტროლის გასაუმჯობესებლად, საქართველომ დაიწყო ოპტიკურ-ბოჭკოვანი სადენის გაყვანა სასაზღვრო უსაფრთხოების სექტორების დასაკავშირებლად რეგიონულ და ეროვნულ მაკონტროლებელ ცენტრებთან, შექმნა ტექნიკური მომსახურების ცენტრი მობილური დაკვირვების ინფრასტრუქტურის მომსახურებისთვის.**

ანგარიშში ნათქვამია რომ, **2021 წელს საქართველო მონაწილეობდა გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისისა და მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის მიერ ერთობლივად განხორციელებულ „კონტეინერების კონტროლის პროგრამაში“ და დისლოცირებული ჰყავს სამოქმედო ჯგუფები უკანონო ტვირთების იდენტიფიცირებისთვის.**

საქართველო არის ევროპის საბჭოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ ექსპერტთა კომიტეტის (MONEYIAL) და „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური კოალიციის ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სამუშაო ჯგუფის (CIFG) წევრი. საქართველოს ფინანსური დაზვერვის დანაყოფი, ფინანსური მონიტორინგის სამსახური, არის ეგმონტ ჯგუფის (Egmont Group) წევრი.

ანგარიშში ხაზი აქვს გასმული, რომ **30 მარტს საქართველომ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ კანონში შეიტანა ცვლილებები, რომელთა თანახმადაც, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებით სანქციადაკისრებულ პირთა სიაში განხორციელებული ცვლილებები საქართველოს ტერიტორიაზე პირდაპირი მოქმედების ძალას იძენს. აქამდე, ასეთი პირების მიმართ სამართლებრივი მოქმედებების განხორციელება მოითხოვდა საქართველოს სასამართლოში განხილვას.**

სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში აღნიშნულია, რომ **2021 წლის განმავლობაში საქართველო კვლავინდებურად განაგრძობდა უმცირესობათა ინტეგრაციაზე, განათლებაზე, მედიასთან წვდომაზე, ახალგაზრდებსა და კულტურულ მრავალფეროვნებაზე ორიენტირებულ ძალისხმევას.**

2021 წელს საქართველომ მონაწილეობა მიიღო გაეროს, ევროპის კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს ფარგლებში ორგანიზებულ ტრენინგებსა და კონფერენციებში, მათ შორის, ივნისში გაეროს წევრი სახელმწიფოების კონტრტერორისტული უწყებების ხელმძღვანელ პირთა მაღალი დონის მეორე კონფერენციაში.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ევროპის საბჭოს კონტრტერორისტული კომიტეტისა და კონტრტერორისტული მიმართულებით ევროპის საბჭოს სხვადასხვა სამუშაო ჯგუფის შეხვედრებში.

სერგეი შამბა: საქართველოში არსებულ პოლიტიკურ ვითარებაზე ბევრწილად ვართ დამოკიდებულები!

– ამის შესახებ სოხუმის დე ფაქტო უშიშროების საბჭოს მდივანმა **სერგეი შამბამ** განაცხადა.

„საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება რუსეთის მიმართ ნეიტრალიტეტს ინარჩუნებს. უფრო მეტიც, ის აქტიურად ეწინააღმდეგება უკრაინის ხელისუფლების და საკუთარი ოპოზიციის მცდელობებს, რომლებიც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსეთის წინააღმდეგ მეორე ფრონტის გახსნას მოითხოვენ“, – განაცხადა შამბამ კონფერენციაზე „სპეციალური სამხედრო ოპერაცია როგორც რეგიონული და მსოფლიო პოლიტიკის ფაქტორი“, რომელიც სოხუმში გაიმართა.

შამბას თქმით, საქართველოს ხელისუფლების ეს მოქმედება პრაგმატული მიზეზებით არის გამოწვეული, მაგრამ არ არსებობს არანაირი გარანტია, რომ საქართველოს ხელისუფლება ანტირუსული რადიკალებით არ შეიცვლება, ან თვითონ იძულებული არ იქნება მეორე ფრონტი გახსნას. მან ასევე განაცხადა, რომ **აუცილებელია ოკუპირებულ აფხაზეთში სამობილიზაციო პოტენციალის შეფასება, შეიარაღებული ძალების რეფორმირება და გადაიარაღება, ასევე უკრაინის ოკუპირებულ რეგიონებთან – დონეცკის, ლუგანსკის, ხერსონის და ზაპოროჟიეს ოლქებთან ურთიერთობის დამყარება.**

უკრაინა გახდება ნატოს წევრი, მაგრამ როდის?..

ნატოს მოკავშირეები შეთანხმდნენ, რომ უკრაინა გახდება ჩვენი ალიანსის წევრი, მაგრამ ამავე დროს ეს გრძელვადიანი პერსპექტივაა, – ამის შესახებ ნატოს გენერალურმა მდივანმა, იენს სტოლტენბერგმა ფინეთში ვიზიტის დროს განაცხადა. **„ახლა მთავარია, მხარი დავუჭიროთ უკრაინას. ვერავინ გეტყვით ზუსტად, როდის დასრულდება ეს ომი, მაგრამ როდესაც დასრულდება, უნდა დავრწმუნდეთ, რომ ისტორია არ განმეორდება, რომ პრეზიდენტი პუტინი ვერ გააგრძელებს მეზობლებზე თავდასხმას. ამიტომ ჩვენ უნდა გავაძლიეროთ უკრაინის სამხედრო შესაძლებლობები, მაგრამ ასევე მოვძებნოთ ჩარჩოები, რომლებიც უზრუნველყოფენ, რომ პრეზიდენტი პუტინი და რუსეთი სხვა დროს არ შეიჭრას უკრაინაში“,** – აღნიშნა იენს სტოლტენბერგმა.

ალექსანდრ ლუკაშენკო: ახლა უკრაინაში კონფლიქტის დასრულების უნიკალური მომენტია



ჩინურ მედიასთან ინტერვიუში, ბელარუსის პრეზიდენტმა ალექსანდრ ლუკაშენკომ თქვა, რომ სხვა ასეთი სიტუაცია შეიძლება, აღარ იყოს და ამ მომენტის გამოყენებაა საჭირო, ვიდრე რუსეთი ეკონომიკას საომარ რეჟიმზე გადაიყვანს. ბელარუსის პრეზიდენტმა ასევე აღნიშნა, რომ ვლადიმერ პუტინის მთავარი მიზანი რუსეთის უსაფრთხოებაა, რათა გამოირიცხოს უკრაინის მხრიდან თავდასხმის შესაძლებლობა. ალექსანდრ ლუკაშენკომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოსკოვი მზად არის, იმოძრაოს მოლაპარაკებების გზაზე, თუმცა აშშ-მა აიძულა კიევის რეჟიმი, უარი ეთქვა რუსეთთან ნებისმიერ დიალოგზე.

ყველაზე დიდი შეტევა რუსეთის ქალაქებზე

უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ რუსეთის ქალაქებზე უპილოტო თვითმფრინავების ყველაზე დიდი შეტევა განხორციელდა. უპილოტო საფრენმა აპარატებმა თითქმის მოსკოვამდე მიაღწიეს, სანკტ-პეტერბურგში კი იძულებული გახდნენ ქალაქის თავზე ცა დაეხურათ.

28 თებერვალს ერთდროულად რუსეთის რამდენიმე ქალაქში უპილოტო საფრენი აპარატები ჩამოვარდა. შეტაკება ყველაზე მასშტაბური იყო. უპილოტო საფრენი აპარატი პირველად მოსკოვის გარეუბანში ჩამოვარდა. დრონი იპოვეს კოლომნას მახლობლად გაზის კომპრესორის სადგურთან. არსებული ინფორმაციით, ეს არის UJ-22 Airborne და ასეთი დრონები დამზადებულია კომპანია „უკრჯეტის“ მიერ. მისი ფრენის მაქსიმალური დიაპაზონი არის 800 კილომეტრი, ხოლო ფრენის მაქსიმალური დრო 14 საათია. უპილოტო საფრენი აპარატი ჩამოვარდა ქალაქ ტუაფსეშიც. ამასთან, ორი დრონი ჩამოვარდა „როსნეფტის“ ნავთობის საწყობის ტერიტორიაზე. მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, აფეთქების ადგილიდან 30 მეტრში თავდაცვის სამინისტროს ყაზარმებია. უპილოტო საფრენი აპარატები ჩამოვარდა ბელგოროდისა და ბრიანსკის სასაზღვრო რეგიონებში. უპილოტო საფრენმა აპარატმა ასევე შეუტია ადიღეს. რესპუბლიკის მეთაურის, მურატ კუმპილოვის განცხადებით, უპილოტო საფრენი აპარატი კრასნოდარიდან დაახლოებით 90 კილომეტრში ჩამოვარდა. დაზიანდა ფერმის საშენი შენობა, თუმცა არავინ დაშავებულა.

სრულიად საქართველოს კავშირმა „გიორგიმ“ და ფაზისის აკადემიამ, 2022 წლის ტრადიციულ ნომინაციაში „ჩვენი დროის ადამიანები“, დაასახელეს შესანიშნავი ოცეული, ოცი წარმატებული პიროვნება – ათი მამაკაცი და ათი ქალი, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა მხარეში ცხოვრობენ და ალალად, დაუღლელად, პირნათლად ემსახურებიან სამშობლოს. მათი ცხოვრების კრიტერიუმია „სიკეთე, სიმართლე, სიყვარული“.

რჩეულ ადამიანთა პირველი ოცეული 2020 წელს დასახელდა. მათი პორტრეტები და ცხოვრება-მოღვაწეობის ქრონიკები გამოქვეყნდა გაზეთში „ასავალ-დასავალი“ (2020, №1-2). 2021 წლის რჩეულთა მეორე ოცეულის საზოგადოებისათვის წარდგენის პატივი წილად ერგო ჩვენს გაზეთს და რუბრიკით „სამაგალითონი“ გამოქვეყნდა მის ხუთ ნომერში. სამივე ოცეულის მიღწევებისა და ღვაწლის ამსახველი ქრონიკების ავტორ-წარმომდგენია გვანჯი მანია, ცნობილი ჟურნალისტი, „გიორგის“ კავშირის დამფუძნებელი, თავმჯდომარე და ფაზისის აკადემიის გამგეობის წევრი. ახალი რუბრიკის – „სამაგალითონი“ – სასურველი სტუმრების წარმოჩენა გრძელდება...

სიკეთე, სიმართლე, სიყვარული

ჩვენი დროის ადამიანები, 2022

გურამ პეტრიაშვილი

80 წლის, მათემატიკოსი,მწერალი

გურამ პეტრიაშვილი თბილისის უნივერსიტეტში ეუფლებოდა მეცნიერებას, ხოლო თეატრისა და კინოს ინსტიტუტში ხელოვნებას. შესაბამისად, მას მიენიჭა მათემატიკოსის, მათემატიკის მასწავლებლის, მსახიობისა და რეჟისორის კვალიფიკაცია.



თუმცა, ამ ცოტა ხნის წინათ მწერალთა სასახლეში გამართული საიუბილეო საღამოს დამსწრე საზოგადოებამ მისი სხვა მრავალ დარგში მიღწეული წარმატებებიც მოისმინა.

ისღა დაგვრჩენია, ანბანური რიგის მიხედვით დავასახელოთ თითოეული დარგი. მაშ ასე, გურამ პეტრიაშვილი არის: მათემატიკოსი, მათემატიკის მასწავლებელი, მეზღაპრე, მსახიობი, მწერალი, პოეტი, პოლიტიკოსი, პუბლიცისტი, რედაქტორი, რეჟისორი, რუსთველოლოგი, სცენარისტი, ქართული და ქართველურ ენათა ქომაგი, ფეხბურთელი.

„ერთადერთი, რითაც შეიძლება ერთი კაცი მეორეს სჯობდეს – გვასწავლის გურამ პეტრიაშვილი – ეს არის ზნეობა, კაცობა, ადამიანობა – არც ნიჭი, არც გვარიშვილობა, არც განათლება, არც სიმდიდრე, არც სახელი და არც თანამდებობა არ აძლევს ადამიანს უფლებას, იფიქროს, რომ სხვას სჯობია“.

გაგაცნობთ ერთ მცირე სიტყვას, რომელიც პოეტმა, გენიალური „შაჰნამეს“ 9 ტომის სპარსულიდან ქართულად მთარგმნელმა ბელა შალვაშვილმა გრძანა პეტრიაშვილზე.

„ის ახალგაზრდობიდანვე იბრძოდა ყველაფერი ქართულისათვის, ქართული სახელმწიფოებრიობის სიწმინდისა და ამაღლებისათვის. მახსოვს მისი წერილები ქართული ენის სიწმინდეზე. ის იყო და არის შეუპოვარი მებრძოლი მათ მიმართ ვისაც ჩვენი ქვეყნის სიყვარული არა აქვს ძვალ-რბილში გამჯდარი და უცხო ქვეყნის მონობა ურჩევნია. ასეთ შემთხვევაში მისთვის ავტორიტეტი არ არსებობს, მისთვის ავტორიტეტი იყო და არის მშობელი ქვეყნისათვის მოღვაწე ადამიანი“.

აზა გასლანიძე

71 წლის, პოეტი, მუსიკოსი

აზა გასლანიძე აფხაზეთის მკვიდრია, საშუალო სკოლა დაამთავრა სოხუმში, უმაღლესი – სახელმწიფო კონსერვატორია – თბილისში. ლიტერატურასა და ხელოვნებას ემსახურება, როგორც ლირიკოსი და მუსიკოსი; არის ექვსი საყმაწვილო პოეტური კრებულის ავტორი. იყო მუსიკის მასწავლებელი და კონცერტმაისტერი მშობლიურ სოხუმსა და დევნილობაში – საგერძნეთში.

ქართული კულტურის განვითარებისა და ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეში შეტანილი წვლილისათვის მინიჭებული აქვს ქართული კულტურის ამაგდარის წოდება, მაყვალა მრევლიშვილის, შიო მღვიმელისა და გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემიები, დაჯილდოებულია სრულიად საქართველოს საპატრიარქოსა და აფხაზეთის მთავრობის საპატიო სიგელებით, არის საქართველოს მწერალთა კავშირის, მწერალთა ეროვნული აკადემიისა და ფაზისის აკადემიის წევრი.

აზა გასლანიძის პოეზია არის ორიგინალური, ბავშვის გონებისათვის იოლად მისაწვდომი სულიერი საზრდო, რომელიც ზრდის მათში მეტაფორულ აზროვნებას, ეთიკასა და ესთეტიკას.

პოეტი, კრიტიკოსი და ენციკლოპედისტი ალეკო გაგელაია წერდა: „ქალბატონი აზა საყმაწვილო პოეზიას, როგორც სხვა დიდოსტატები, ვირტუოზულობითა და გასაოცარი სიმსუბუქით აგებს ნაირფერ ვირტუალურ სამყაროებს და ყოველი მისი სამყარო გაჯერებულია ნათელი მატერიითა და ნათელი ენერგიებით“.

ირაკლი ბოკუჩავა

81 წლის, მათემატიკოსი, პოეტი, პუბლიცისტი

ირაკლი ბოკუჩავა, მათემატიკის აკადემიური დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღზრდილია. არის საქართველოში პირველი მათემატიკური ტესტების კრებულის თანაავტორი (1992), საქართველოსა და უცხოეთში გამოქვეყნებული 25 სამეცნიერო სტატიის, საბჭოთა იმპერიის ამსახველი წიგნის „ჩემი საბჭოთა წარსული“ (2019), მრავალი პუბლიცისტური წერილისა და ლექსების ოთხი კრებულის ავტორი.

1996-2001 წლებში გახლდათ „განახლების ქართულ-ამერიკული დასის“ პრეზიდენტი, ხოლო 1998-2000 წლებში – გივი ზალდასტანიშვილის სახელობის თბილისის ამერიკული აკადემიური პროექტის დირექტორი. ამავე დროს, ალგათობის თეორიასა და მათემატიკის სტატისტიკაში ლექციებს კითხულობდა მშობლიურ უნივერსიტეტსა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში.

1990 წელს ცნობილ ჟურნალისტ ნუგზარ რუხაძესთან ერთად მონაწილეობდა ამერიკის „ევოლუციური სამსახურის ინსტიტუტის“ (ვაშინგტონი) მიერ ორგანიზებულ სემინარში, რომლის შედეგად შეიქმნა პროექტი „საქართველოს ინიციატივა“. ეს პროექტი მიზნად ისახავდა საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის უმტკივნეულო გარდაქმნას საბჭოთა კავშირის მოსალოდნელი დაშლის პირობებში.

პროექტის შექმნაში მონაწილეობდნენ ცნობილი ამერიკელი და ქართველი მეცნიერები. შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა ხელი შეუშალა ამ დიდი პროექტის განხორციელებას. სამაგიეროდ, ფოთის, სენაკის, თბილისისა და რუსთავის მერების, ასევე ფოთის პორტის იმდროინდელი უფროსის, აწ განსვენებული ვალერი გეგიძის მხურვალე თანადგომითა და ხელშეწყობით მოხერხდა აღნიშნული ქალაქების მაღალი კლასების ორასი მოსწავლის ერთი წლით გაგზავნა ამერიკასა და გერმანიაში, იქაურ მასპინძელ ოჯახებში მათი დაბინავება და სკოლებში სწავლება.

საქართველოს უკიდურესი გაჭირვების დროს – 1993-97 წლებში – განხორციელებული აღნიშნული პროგრამა ირაკლი ბოკუჩავას აღწერილი აქვს წიგნში „პროექტი „საქართველოს ინიციატივა“, რომელიც 2021 წელს გამოქვეყნდა.

შალვა თურმანიძე

73 წლის, ავტოინჟინერი, ათლეტ-ფეხოსანი



შალვა თურმანიძე ბათუმში მოქმედი ერთ-ერთი ცნობილი საწარმოს ხელმძღვანელი და უჩვეულო ათლეტური ნომრის ავტორია. ეს უჩვეულო ნომერი ქართული ქორეოგრაფიული სკოლის, აღმოსავლური (ინდოეთი, ნეპალი, ჩინეთი) სავარჯიშო ტრადიციებისა და ინდივიდუალური, მრავალმხრივი მონაცემების ჰარმონიული გაერთიანება-განვითარების ნაყოფია.

მერვე ათეულში გადასული ვეტერანი, თავითა და იდაყვებით ხალიჩას დაყრდნობილი, ქართული ხალხური მუსიკის ჰანგების თანხლებით, ნახევარი საათის, ზოგჯერ მეტი ხნის განმავლობაში, მხოლოდ ფეხების მოძრაობით ასრულებს ქართული ხალხური ცეკვის ილეთებს. მისი ფეხების მოძრაობისა და მუსიკის ჰანგების თვალყურმადევარი პიროვნება ადვილად სცნობს ცეკვის რაობას.

თანამოაზრე ჯგუფის მიერ საგანგებოდ მოწვეულმა ქართული ეროვნული ბალეტის ოსტატებმა, როცა ნახეს გატონი შალვას მიერ შესრულებული უჩვეულო ილეთები, ერთხმად აღნიშნეს, რომ ეს არის ნამდვილი „კოსმიური ცეკვა“.

გულშემატკივართა და ხელოვანთა თანადგომა-დაინტერესებას მოჰყვა ჩვენი ვეტერანი სპორტსმენის მიწვევა სატელევიზიო პროგრამაში „ნიჭიერი“, სადაც მან 40 წუთის განმავლობაში ადამიანის შესაძლებლობის გამოხატვის საინტერესო და უჩვეულო სარეკორდო შედეგი აჩვენა, უფრო მეტიც, მისი გამოსვლის ჩანაწერი და სათანადო მიმართვა – ტექსტი – წარედგინა აღმოსავლეთსა და დასავლეთს, ანუ მსოფლიო სარეკორდო მოძრაობის ცენტრებს დელსა და ლონდონში.

პეტრე დანელია

71 წლის, პედაგოგი, პოლიგოლოგი

პეტრე დანელია, თბილისსა და ბაქოში უმაღლეს პედაგოგიურ, პოლიტოლოგიურ და სოციოლოგიურ ცოდნას დაუფლებული ახალგაზრდა, ახალი თაობის ლიდერი გახდა მშობლიურ ბოლნისის რაიონში. მისი მეთაოვობით თანამოაზრეთა აქტიური მონაწილეობით და ხელისუფლების ფინანსური მხარდაჭერით მოეწყო და დღესაც მოქმედებს ბოლნისის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი.

ამ კარგი საქმის გაგრძელება იყო არსებული არაქართული და საბჭოური დასახელების სოფლებისათვის ისტორიული სახელების მოძიება და მინიჭება. მას მოჰყვა პ. დანელიას პირველი წიგნი – ბოლნისის სპორტის ისტორიის ამსახველი მონოგრაფია, ბოლნისის ისტორიისა და კულტურის ძეგლების რუკა და გერმანელ კოლონისტთა ჩამოსახლების (1817) 200 წლისთავისადმი მიძღვნილი ორენოვანი ქართულ-გერმანული (2017) და ქართულ-ინგლისური (2018) წიგნები „ბოვნისი, ეკატერინენფელდი, ლუქსემბურგი, ბოლნისი“.



დასახელებული წიგნის პირველ ნაწილში მიმოხილულია ძველი წელთაღრიცხვის VIII ათასწლეულიდან ჩვენს დღეებამდე ბოლნისის მიდამოებში აღმოჩენილი უძველესი ნასახლარების, ყურძნის, ხორბლის, ძვირფასი ლითონების მოპოვებისა და წარმოების თავისებურებანი, ქართველი ხალხის მართლმადიდებლური რწმენისა და განათლების ქრონიკები.

რაც შეეხება წიგნის მეორე ნაწილს, ისტორიული და საარქივო მასალების გამოყენებით წარმოდგენილია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: გერმანელთა ჩამოსახლების ქრონიკები, ბოლნისქალაქის დაფუძნება, სოფლის მეურნეობის, სახელდობრ, მევენახეობისა და მეღვინეობის, ასევე მშენებლობისა და ხელოსნობის თავისებურებანი, გერმანელ კოლონისტთა რელიგიური მრწამსი, განათლება, მუსიკალური და თეატრალური ხელოვნება, საბჭოთა მთავრობის მიერ მეორე მსოფლიო ომის – ოპერაცია „ბარბაროსას“ გამო მათი დეპორტაცია შუა აზიასა და ციმბირში (1941).

საგულისხმოა, რომ აღნიშნული წიგნის მიხედვით ავტორმა შექმნა სპექტაკლი, რომელიც წარმატებით განხორციელდა 2017 წლის 6 ოქტომბერს სახალხო დღესასწაულ ბოლნისქალაქობის ფარგლებში (რეჟისორი ლაშა ნოზაძე).

ჩვენი გმირის ასევე მნიშვნელოვანი ნაშრომია 500-გვერდიანი ილუსტრირებული წიგნი, სადაც წარმოდგენილია ეკატერინენფელდის 1941 წლის რუკა და 814 გერმანული ოჯახის დემოგრაფიული მონაცემები.

პეტრე დანელიას მინიჭებული აქვს ბოლნისის საპატიო მოქალაქის წოდება.

(გაგრძელება იქნება)

ᲑᲠᲔᲥᲡᲘᲢᲘ – ᲒᲐᲜᲮᲔᲗᲥᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲕᲐᲨᲚᲘ

ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ქვეყნების ლიდერები თავს არ ზოგავენ, რომ უკრაინის ომისა და რუსეთის მიმართ სანქციებით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი როგორმე შეამსუბუქონ. კრიზისმა, ყველა სხვა პრობლემასთან ერთად, ინგლისში ბრექსიტის ბოლომდე მიყვანაც შეაფერხა. ქვეყნის ეკონომიკამ საკმაოდ ძლიერი რყევები განიცადა ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლის გამო. უკრაინის ომმა კი, მთლად მოუთავა ხელი, რაზეც, ყველაზე კარგად, ცხოვრების დონით უკმაყოფილო ხალხის მუდმივი გაფიცვები მეტყველებს. კრიზისიდან თავის დასაღწევად, ბრიტანეთის პრემიერმა ბრექსიტის პროცესის შერბილება გადაწყვიტა. ქვეყნის მასმედია იტყობინება, რომ რიში სუნაკმა მინისტრთა კაბინეტს ქვეყნის ევროკავშირთან დაახლოების გეგმის შედგენა დაავალა.

ბრექსიტმა არაერთი პრობლემა წარმოშვა ინგლისსა და ევროკავშირს შორის. ჩრდილოეთ ირლანდია ღია საზღვარს ითხოვს ირლანდიის რესპუბლიკასთან, რასაც ბრიტანეთი კატეგორიულად ეწინააღმდეგება, რადგან ირლანდიის რესპუბლიკა ევროკავშირის წევრია და, შესაბამისად, ინგლისს ღია საზღვარი უჩნდება ევროკავშირთან. ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს სურს ადგილიდან დაძრას ბრიტანეთსა და ევროკავშირს შორის გაჭედილი მოლაპარაკებები საერთო საზღვრებისა და ბაზრების შესახებ. რიში სუნაკი მზადაა დათმობაზე წასასვლელად, რადგან ევროკავშირთან ახლო ურთიერთობა მას ახლა ჰაერივით სჭირდება. ბრიტანეთის პრემიერისა და საფრანგეთის პრეზიდენტის ამასწინანდელი, ერთდროული შეხვედრა უკრაინის ლიდერთან, ამის პირდაპირი დასტურია. მათი ერთობლივი აღიარებაც, რომ მხოლოდ საერთო ძალისხმევით შეიძლება რუსეთის დამარცხება, სწორედ ამაზე მეტყველებს. რამდენიმე კვირის წინ, ბრიტანეთის მთავრობისა და ინგლისის ერთ-ერთი სამეცნიერო ინსტიტუტის ეგიდით, ინგლისელი დიპლომატებისა და პოლიტიკოსების შეხვედრა მოეწყო, სახელწოდებით, „როგორ გავაუმჯობესოთ ევროკავშირთან ურთიერთობა ბრექსიტის პირობებში“. შეხვედრაში მონაწილე ევროკავშირის დიპლომატებმა, პოლიტიკოსებმა და ბიზნესმენებმა, ყველამ ერთად, აღიარეს, რომ ბრექსიტი უნდა შერბილდეს, რითაც ბრიტანეთის ეკონომიკა მხოლოდ მოიგებს. რიში სუნაკის მთავარ პრობლემად თავისივე კონსერვატიული პარტია რჩება, რომლის მძიმეწონიანი მოთამაშეები კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან პრემიერის გეგმას.

სუნაკი, კოლეგებთან ერთად, ცდილობს პარტიის ელიტის დარწმუნებას, რომ მის მიერ არჩეული გზა სწორია და მომგებიანი. როგორც პრემიერ-მინისტრმა ბრიტანულ მასმედიას განუცხადა, ბრექსიტს ალტერნატივა არ აქვს, მაგრამ დღევანდელ რეალობაში ევროკავშირის მიმართ კომპრომისული ნაბიჯები უნდა გადაიდგას. დღეს, როცა მთელ მსოფლიოში, დემოკრატია ამხელა გამოწვევების წინაშე დგას, ჩვენ, ყველამ, უნდა დავივიწყოთ საერთო გაუგებრობები. მხოლოდ ერთიანი ძალისხმევით შესძლებს ევროპა ამ გამოწვევების გამკლავებასო, განაცხადა რიში სუნაკმა, მაგრამ კონსერვატიული ელიტა პრობლემას სულ სხვა თვალით უყურებს. სუნაკის პოლიტიკით მევრია უკმაყოფილო. მათთვის ბრექსიტის საკითხი ხელშეუხებელია.

ახლა კი, მისი მოსწავლე მის იდეას ასამარებს. ჯონსონის პოლიტიკურ შეხედულებებს სხვა ცნობილი კონსერვატორებიც იზიარებენ. ბრექსიტის მთავარმა სპიკერმა, კაბინეტის ყოფილმა მინისტრმა, ლორდ ფროსტმა, პირდაპირ განაცხადა: ბრექსიტი კორექციას არ საჭიროებს. მას მხოლოდ ახლანდელი კაბინეტის მიერ დაწყებული საქმის წესიერად განგრძობა სჭირდება. კაბინეტმა უნდა შეიგნოს ბრექსიტის სარგებელი და ბრძოლის ველი არ დაუთმოს მის მოწინააღმდეგეთ. ახლა, საქმე იმაშია, შესძლებს თუ ვერა რიში სუნაკი პარტიული ელიტის თავის სიმართლეში დარწმუნებას. და თუ ვერ შესძლებს, მალე ვნახავთ ახალი კარუსელის დატრიალებას პრემიერ-მინისტრის სავარძელში ჩასაჯდომად.

ᲚᲝᲖᲣᲜ�გᲘᲡ ᲨᲔᲪᲕᲚᲘᲗ ᲯᲐᲛᲘ ᲐᲠ ᲘᲪᲕᲚᲔᲑᲐ

ᲐᲛᲐᲡ წინათ, ამერიკის ქალაქ მემფისში, ერთი ჩვეულებრივი სამართალდარღვევა მოხდა: პოლიციის პატრულმა, ავტომობილის თავზეხელაღებული მართვის გამო, 29 წლის ტერი ნიკოლსის შეჩერება სცადა. ახალგაზრდა კაცი პოლიციას არ დაემორჩილა, რასაც მისი დევნა და დაპატიმრება მოჰყვა. დაკავებისას, ხუთმა პოლიციელმა გადამეტებული ძალა გამოიყენა. დამნაშავე ნიკოლსი საავადმყოფოში მოხვდა, სადაც, მოგვიანებით, გარდაიცვალა. შემთხვევამ ყველას 2020 წლის ანალოგიური ინციდენტი გაახსენა, რომელიც ჯორჯ ფლოიდს შეემთხვა.

პოლიციამ მაშინაც გადაჭარბებული ძალა გამოიყენა, რის შედეგად, ფლოიდი გარდაიცვალა. გეხსომებათ, რომ იმ ამბავმა პროტესტის არანორმალურად დიდი ტალღა გამოიწვია. უფრო მეტიც, საზოგადოებრივ ადგილებში ხალხმა მოძრაობა წარმოშვა, სახელწოდებით Black Lives Matter, შავკანიანთა სიცოცხლესაც აქვს ფასი. მაშინ, ფლოიდის მკვლელობას რასიზმი დაარქვეს, რადგან პოლიციელები თეთრკანიანები იყვნენ, ფლოიდი კი, შავკანიანი. პროტესტი წამსვე მთელს ამერიკას მოედო. აქტივისტებმა პოლიციის ოფისები და მანქანები გადაწვეს, დაარბიეს და ცეცხლს მისცეს მაღაზიები. თეთრკანიანი მოსახლეობის რაღაც ნაწილი საშინელი ზეწოლის ქვეშ აღმოჩნდა.

ამ ბოლო დროს მომხდარმა ინციდენტმა კი, საკმაოდ წყნარად ჩაიარა. დემონსტრაციები კი გაიმართა, მაგრამ ძალიან მდორედ და ექსცესების გარეშე. მიზეზი სრულიად განალური იყო: ხუთივე პოლიციელი შავკანიანი აღმოჩნდა. რა თქმა უნდა, ხუთივე დააპატიმრეს. შემთხვევა მიიჩქმალა, მაგრამ თავად ვითომ ანტირასისტული ორგანიზაცია Black Lives Matter მძაფრი კრიტიკის საგანი გახდა. კრიტიკის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ ორივე შემთხვევაში პოლიციელთა მხრიდან ძალის გადამეტებას ჰქონდა ადგილი და არა რასისტულ დისკრიმინაციას. ფლოიდის ამბავი ლიბერალებმა შეთითხნეს, როგორც რასიზმის მაგალითი. რაც შეეხება თავად გახმაურებულ ანტირასისტულ დაჯგუფებას, მან მხოლოდ გაამწვავა დაპირისპირება ორფერ ამერიკულ საზოგადოებაში.

წელს, ოჰაიოს შტატის ქალაქ სპრინგფილდში, ასეთი რამ მოხდა: ერთ-ერთი კოლეჯის შავკანიანი მოსწავლეების ჯგუფი, ძალის გამოყენებით, თეთრკანიან მოსწავლეებს დაჩოქებას და Black Lives Matter ფრაზის გამეორებას აიძულებდა. სკოლის დირექციამ და პოლიციამ ინციდენტი კი აღკვეთა, მაგრამ ამ ამბავმა დაგვანახა, რომ ანტირასისტულმა მოძრაობამ შავკანიან ახალგაზრდობას მცდარი სიგნალი გაუგზავნა, რასაც ლოზუნგის შეცვლა მოჰყვა. ახლა, ნაცვლად მოწოდებისა, Black Lives Matter, შავკანიანთა სიცოცხლესაც აქვს ფასი, ყველას პირზე აკერია ახალი შეძახილი: All Lives Matter, ყველას სიცოცხლეს აქვს ფასი. აფრო-ამერიკელმა პოლიტიკოსებმა, სენატორებმა ტიმ სკოტმა და ბენ კარსონმა გააკრიტიკეს ახლა უკვე სახელგატეხილი ანტირასისტული დაჯგუფება, რადგან, მან ამერიკის საზოგადოებაში საშინელი რადიკალიზაცია გამოიწვია.

ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲓ, ᲐᲠ ᲛᲝᲛᲙᲕᲓᲐᲠᲐ, ᲡᲫᲘᲜᲐᲕᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ...

1865 ᲬᲚᲘᲡ 24 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ, სამოქალაქო ომის დამთავრებიდან შვიდი თვის თავზე, ამერიკის ერთ-ერთი სამხრეთი შტატის, ტენესის პატარა ქალაქ პულასკიში, საიდუმლო საზოგადოების დაარსების მიზნით, კონფედერაციული, ანუ სამხრეთის არმიის ექვსი ვეტერანი შეიკრიბა, რომლებმაც გადაწყვიტეს, რომ ამერიკული ცხოვრების სამხრეთული სტილი უნდა დაეცვათ. ნამდვილად არსებობდა ასეთი რამ, ცხოვრების სამხრეთული წესი, რაც, ძირითადად, მონობის ფენომენს ეყრდნობოდა. ამ ექვს ამერიკელ კაცს თავიანთი თავი რაინდებად, და აწ უკვე ომში დამარცხებული სამხრეთის მხსნელებად მიაჩნდათ. ასე წარმოიშვა Ku-Klux-Klan, კუ-კლუქს-კლანი, შემოკლებით KKK, ან, უბრალოდ, კლანი.

ეს არის მსოფლიოში ცნობილი ამერიკული რასისტული, მემარჯვენე-ტერორისტული ორგანიზაცია, რომლის სიძულვილის სამიზნე შავკანიანი, წითელკანიანი, ლათინური, აზიური და ებრაული წარმოშობის, მათ შორის, კათოლიკე, მემარცხენე, მუსლიმი და ათეისტი ამერიკელი იყო. ეს ნორდიკული იდეოლოგიის მიმდევარი ანტისემიტისტური, ანტიკომუნისტური და ანტიისლამისტური დაჯგუფება ამორტის პროპაგანდისტებსაც ერჩოდა. კლანის გაჩენის წინაპირობა სამოქალაქო ომში სამხრეთის დამარცხება იყო.

ყოფილი სამხრეთელი პლანტატორები წაგებას ვერ ეგუებოდნენ. თავის დასაცავად და ერთ დროს არსებული სამხრეთული ნირვანის აღსადგენად, იარაღსაც მიმართავდნენ. სამხრეთელთა და ჩრდილოელთა ურთიერთბრალდებები დიდხანს, ომის შემდეგაც, გაგრძელდა. სწორედ, აქ ჩინა თავი კლანის აქტიურობამ. თავდაპირველად, მას მხოლოდ შავკანიანთა დაშინება უნდოდა, რომელთაც სამხრეთიდან ძალადობრივად ერეკებოდნენ. კუ-კლუქს-კლანმა თავისი საკუთარი სამოსი შექმნა: დიდი თეთრი მოსასხამი თავისივე თეთრი ხილაბანდით, კაპიუშონს რომ ვეძახით. კლანის წევრები, ამ სამოსში გამოწყობილები, ცალ ხელში, ჩირაღდნითა და მეორეში, დამბაჩით, ცხენებზე ამხედრებულნი, სოფელ-სოფელ და ქალაქის ქუჩებში დაძრწოდნენ. შეშინებულ ხალხს, განსაკუთრებით, ცრუმორწმუნე შავკანიანებს, თეთრ სამოსში გადაცმული კუ-კლუქს-კლანელები სამოქალაქო ომში დაღუპული სამხრეთელი ჯარისკაცების სულები ეგონათ.

დროთა განმავლობაში, კლანის გარშემო, რასისტული ორგანიზაციების მთელი ქსელი შეიქმნა, რომელიც იჭერდა და ლინჩის წესით, ანუ, გასამართლების გარეშე, უმეტესწილად, ჩამოხრჩობით, მონობიდან ახალგათავისუფლებულ შავკანიანებს სჯიდა. მიზანი, შავკანიანებზე თეთრი რასის უზენაესობის აღდგენა და რესპუბლიკელებსა და აბოლიციონისტებზე შურისძიება იყო. რესპუბლიკელებზე იმიტომ, რომ ისინი ჩრდილოეთს, ანუ ომში გამარჯვებულ მხარეს წარმოადგენდნენ. აბოლიციონისტები კი, მონობის აკრძალვისთვის იბრძოდნენ. ცნობილი მოძრაობა „აბოლიციონიზმი“ ინგლისურ სიტყვას Abolish უკავშირდება, რაც აკრძალვას ნიშნავს. 1867 წელს, კუ-კლუქს-კლანის ლიდერი სამხრეთის ჯარის ყოფილი გენერალი, ნათანიელ ფორესტი, გახდა. ორგანიზაციამ შავკანიანების შემოსევისგან ქვეყნის დაცვა, თეთრი რასის განადგურებისგან გადარჩენა და თეთრკანიანების უზენაესობის უზრუნველყოფა დაისახა მიზნად, მაგრამ კუ-კლუქს-კლანის პირველი ორგანიზაცია, შვიდი წლის შემდეგ, ანუ, 1872 წელს დაიშალა. მისი მეორედ მოსვლა 1915 წელს, ჯორჯიის შტატის დედაქალაქ ატლანტაში, ადვოკატ უილიამ სიმონსის ინიციატივით მოხდა.

იმ პერიოდში, ამერიკას ემიგრანტების დიდი ნაკადი მიაწყდა, რამაც ისედაც მძვინვარე ეკონომიკური კრიზისი კიდევ უფრო გაამძაფრა. ხალხი ყველა უბედურებას გაზრდილ იმიგრაციას აბრალებდა. ამდროს, კლანს არ ეძინა, უტევდა რა, არამარტო შავკანიანებს, არამედ, ადამიანთა სხვა ჯგუფებსაც. ოციან წლებში, იმდენად გაიზარდა კლანის გავლენა, რომ მას უხილავი იმპერია უწოდეს. კუ-კლუქს-კლანის შემადგენლობა 10 მილიონზე ავიდა. ამერიკის დედაქალაქ ვაშინგტონში, კლანმა 40-ათას-კაციანი მსვლელობა ჩაატარა, ჩირაღდნებით ხელში, რითაც საზოგადოებას აცნობა, თუ რა ძალის პატრონი იყო. ბოლოს, მოხდა ისე, რომ კლანის წევრები დიდ სკანდალებში გაეხვნენ. ამის გამო, მათი რეპუტაცია მკვეთრად დაეცა, რაშიც, ყველაფერთან ერთად, დიდი როლი დეპრესიამ და მეორე მსოფლიო ომმა ითამაშა. 1960-იანი წლების დასაწყისში, ამერიკის სამხრეთ შტატებში, სეგრეგაციის თემა გამოცოცხლდა. კამათი სისხლისმღვრელ დაპირისპირებებში გადაიზარდა. პოლიცია ძაღლებისა და წყლის ჭავლის გამოყენებით ფანტავდა დემონსტრანტებს.

სეგრეგაციის მომხრეებმა კუ-კლუქს-კლანისგან დამოუკიდებელი დაჯგუფებები შექმნეს, თუმცა, საქმეში ისევ წინათ გამოცდილ ხერხებს იყენებდნენ. ზუსტად მაშინ დაიწყო კუ-კლუქს-კლანის მესამე აღზევება. ორგანიზაციის წევრთა და მხარდამჭერთა რაოდენობამ 100 ათასს მიაღწია. კლანს, ამერიკელი პოლიტიკოსი, დევიდ დიუკი, ჩაუდგა სათავეში. მისი გამოსვლები ხშირად ისმოდა ქუჩაში, რადიოსა და ტელევიზიაში. ის მთელი ქვეყნის მასშტაბით, განსაკუთრებით, სამხრეთში აქტიურობდა. ყველაზე მეტად შესამჩნევი კლანის წევრების მიერ ჯვრის დაწვის ცერემონიები გახდა. ალაბამას შტატი, განსაკუთრებით, ქალაქი ბირმინჰემი, მათ მთავარ ასპარეზად იქცა. კლანის წევრები შავკანიანთა სახლებს წვავდნენ, სამოქალაქო სატრანსპორტო საშუალებებს არბევდნენ, ანადგურებდნენ ყველაფერს, რაც რასისტული დისკრიმინაციის ასალაგმავად გამოიყენებოდა. მათ ააფეთქეს ბაპტისტური ეკლესია ბირმინჰემში, რასაც ოთხი შავკანიანი გოგონას სიცოცხლე შეეწირა. ფილადელფიაში, ორი თეთრი და ერთი შავკანიანი მოქალაქე იმსხვერპლეს. ჯორჯიაში და ალაბამაში 70-მდე დასახლება და 30 ეკლესია გადაწვეს. მისისიპის შტატში, 10 მკვლელობა ჩაიდინეს. ბოლოსდაბოლოს, პრეზიდენტ ჯონსონის მთავრობამ წესრიგის დამყარება გადაწყვიტა. დაიჭირეს და გაასამართლეს კუ-კლუქს-კლანის მრავალი წევრი. დღეს, კლანი დასუსტებული, გაფანტული და დანაწევრებულია, თუმცა, ქვეყანაში ჯერ კიდევ ბევრი რასისტული დაჯგუფება მოქმედებს.

ᲜᲣᲒᲖᲐᲠ Ბ. ᲠᲣᲮᲐᲫᲔ
POSTV

„დავით ახლოური სამ დროში მცხოვრები მოღვაწეა!..“

მიუნხენში უსაფრთხოების კონფერენციის ფარგლებში პანელი „მოძრავი მთები – უსაფრთხოების მშენებლობა სამხრეთ კავკასიაში“ გაიმართა, სადაც სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყნის ლიდერი – საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი, სომხეთის პრემიერ-მინისტრი ნიკოლ ფაშინიანი მონაწილეობდნენ.

ამ მნიშვნელოვან თემატურ დისკუსიაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ უკრაინის ომი ყველა ჩვენგანისთვის დიდი გამოწვევაა. **„2008 წელს ჩვენც გვქონდა ომი რუსეთთან. მას შემდეგ რუსეთს ჩვენი ისტორიული ტერიტორიები ოკუპირებული აქვს, – აფხაზეთი, „სამხრეთ ოსეთი.“**

ორი სამხედრო მაზა გააჩინა ჩვენს ტერიტორიაზე რუსეთმა. მას შემდეგ ჩვენ ბევრი პრობლემა გამოვიარეთ, ბევრი გამოწვევა გვქონდა...“ მათ შორისაა და ჯერაც მოუშუშებელ იარად რჩება ოკუპირებული ქსნის ხეობა, რომელიც ნაცრეუიმმა, როგორც ამბობენ, მტერს ხონჩით მიართვა!

სწორედ ამიტომაც, წინაპართა კერას მონატრებული, ჟამთა სიავით გულდამძიმებული ახალგორელი მწერალი და მკვლევარ-ისტორიკოსი დავით ახლოური ტკივილით დასძენს:

„ჩემთვის ქსნის ხეობა ქარჩოხის ციხიდან ექოდ მომდინარე დიდი მოურავის შეძახილია და ღვთის მადლით კურთხეული ფუძე-კარი გიორგი ერისთავისა...

ჩემთვის ქსნის ხეობა უკვდავებასთან წილნაყარი 19 წლის ლევან მიდელაშვილი და ქედმოუხრელი ლომგულა ბიჭი არჩილ ტატუნაშვილია...

ჩემთვის ქსნის ხეობა მარადიულად თანმდევი ბავშვობაა, ყოჩივარდების ყვავილობაა და ხავსმოკიდებულ ნიშის ქვაზე დანთებული სანთელი...

ჩემთვის ქსნის ხეობა საგიორგობო ზედაშეა და სოფლის დეკანოზის დამწყალობება...

ჩემთვის ქსნის ხეობა ჩემი შვილი და მისი შვილებია...

აქედანვე ვხედავ მამა-პაპის კერაზე ახმაურებულ ჩემს ჯიშსა და გენს!“

მწერალი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე დავით ახლოური კარგა ხანია დაკავებულია მშობლიური ქსნის ხეობის კვლევა-ძიებით. დღეს, როგორც არასდროს, მართლაც საშურია ოკუპირებული ახალგორის შესწავლა, „რათა მომავალმა თაობამ იცოდეს ჩვენი კუთხის მართალი, გაუყალბებელი წარსული...“

სერიიდან „ქსნის ხეობის ისტორია,“ „სოფელი ახლოურთი“, პირველი ტომია. მასში შესწავლილია აგვისტოს (2008 წ.) ომის შემდეგ ოკუპირებული ახალგორის რაიონის ერთ-ერთი მაღალმთიანი სოფლის ახლოურთის ისტორია. „ქსნის ხეობის შესახებ არსებული ისტორიული წყაროებისა და ფოლკლორული მასალის კვალდაკვალ მიმოხილულია სოფლის თავგადასავალი, დემოგრაფიული ვითარება, ეკონომიკური დარგები, გაანალიზებულია ტოპონიმები, საუბარია განათლებაზე, კულტურაზე, ქართლის მთიანეთისთვის დამახასიათებელ რელიგიურ და ეთნოგრაფიულ თავისებურებებზე.“

მომდევნო, მეორე ტომი მოიცავს ყოფილი ქსნის საერისთავოს სოფლების ისტორიას XVIII ს., მეორე ნახევარსა და XIX ს. დასაწყისში. ნაშრომში შესწავლილ-გაანალიზებულია „სამთავისის საყდრის გამოსავლის დავთრები, ქსნის საერისთავოს აღწერილობები, იოანე ბატონიშვილის საუფლისწულოს აღწერის მონაცემები... განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა 1804 წლის პირველ რუსულ კამერალურ აღწერას, რომელიც მნიშვნელოვანი წყაროა როგორც დემოგრაფიული, ისე ეკონომიკური ვითარების შესასწავლად.“ ამასთან, გამოწვლილვითაა შესწავლილი „თითოეული სოფლის წარსული, ისტორიული ძეგლები, ეკლესია-მონასტრები, სამლოცველოები, რელიგიური და ეთნოგრაფიული ყოფა. **ასევე ყურადღება ეთმობა იმ მძიმე შედეგებს, რაც 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ მოჰყვა ახალგორის მუნიციპალიტეტის სოფლების ოკუპაციას.“**

ავტორი ქსნის ხეობის მესამე ტომის წინასიტყვაობაში წერს **ქარჩოხის ხეობის (მთლიანად) და ჭურთის ოსებით დასახლებული სოფლების შესახებ XVIII ს. მეორე ნახევარსა და XIX ს. დასაწყისში.** განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა აღმოსავლეთ საქართველოს თიანეთის შესახებ არსებული შესაბამისი პერიოდის ისტორიულ წყაროებს (დემოგრაფიულ ნუსხებს, ქართველ და უცხოელ ავტორთა ცნობებს), რომელთა მიხედვითაც მიმოხილულია თითოეული სოფლის წარსული, დემოგრაფიული, ეკონომიკური, რელიგიური და ეთნოგრაფიული ყოფა, ეკლესია-მონასტრები, ქრისტიანული ნიშები და სხვა საკულტო ნაგებობები თავისი ლოკაციით, დანიშნულებითა და იქ არსებული ნივთებით. სათანადო კვლევაა ჩატარებული სოფლების ტოპონიმების განმარტებისთვის. მოძიებულია ქსნის შესახებ არსებული ფოლკლორული მასალა, პარალელია გავლებული წარსულსა და თანამედროვეობას შორის!

* * *

მიმდინარე წლის 8 თებერვალს, საქართველოს პარლამენტის ერვნული ბიბლიოთეკის სააქტო დარბაზში, მწერალთა შემოქმედებითი კავშირის შიდა ქართლის, ცხინვალისა და ახალგორის ორგანიზაციის ინიციატივით, დავით ახლოურის სამეცნიერო-შემოქმედებითი საღამო გაიმართა, რომელიც საქართველოს განმათავისუფლებელი მეფის დავით IV აღმაშენებლის დაბადებიდან 950 წლისთავს მიეძღვნა.

ლიტერატურულ საღამოს ორგანიზებას უწევდა საქართველოს საპატრიარქოს ჩოხოსანთა საზოგადოების შიდა ქართლის სადროშო და საქართველოს ქალთა საბჭოს ორგანიზაცია (თავმჯდომარე, აკადემიკოსი მზექალა შანიძე). ხალხმრავალ ღონისძიებაზე კიდევ ერთხელ წარმოჩინდა სწორუპოვარი მეფე-აღმაშენებელი, მისი „ძლევაი საკვირველი!..“

ძლევამოსილი ქართველის საიუბილეო დღეს, მწერალთა რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე ხელხვავიანი შეეგება, – **დამსწრე საზოგადოების წინაშე „ქსნის ხეობის ისტორიის“ სამტომეულით წარსდგა, რომელიც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით გამოიცა.**

შემოქმედებით საღამოზე, როგორც **საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ მაყვალა გონაშვილმა განაცხადა, „დავით ახლოური სამ დროში მცხოვრები მოღვაწეა!..“** ეს ასეცაა, რამეთუ ახალგორელი მამულიშვილი, „როგორც ისტორიკოსი, საქართველოს და, კონკრეტულად, ქსნის ხეობის წარსულში მოფუსფუსე მკვლევარია, რომელიც აწმყოში ქმნის შედევრებს და მომავალ თაობას ეხმარება გზის გაკვალვაში.“ სწორედ ამიტომაც, ნაშრომის პირველ ტომში წერს: **„საშურია დღეს ოკუპირებული ახალგორის სოფლების კვლევა, რათა მომავალმა თაობამ იცოდეს ჩვენი კუთხის მართალი, გაუყალბებელი ისტორია.“**

ღონისძიებაზე, მრავალი ჯილდო-წახალისების მფლობელს, პროფ. დავით ახლოურს მწერალთა, ხელოვანთა და საზოგადოებრივ მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „გულანისგან“ მშვიდობის ალამდარის წოდება მიენიჭა; ღირსეულ შემოქმედს, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირისგან, თავისი დიდი სეხნიის, წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის დიპლომი, ხოლო ოკუპირებული ახალგორის მუნიციპალიტეტისგან სამადლობელი სიგელი გადაეცა.

რობერტ ოდიკაძე,
საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის ცხინვალის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი.

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მესამე აუქციონს კადიმ ალი ოღლის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** კადიმ ალი ოღლი (პ/ნ 24001006681), კასპი, სოფელი ხიდისყური

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

კასპი, სოფელი ხიდისყური (საკადასტრო კოდი: 67.07.37.233https://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 5000 ლარი.

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2023 წლის 2 მარტი, 12:00 საათი.

4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2023 წლის 16 მარტი, 14:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP87217723;

აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 872177

6. **მოვალე:** კადიმ ალი ოღლი (პ/ნ 24001006681), კასპი, სოფელი ხიდისყური;

გიაზ კიზი ხანუმ (პ/ნ 24001023582), კასპი, სოფელი ხიდისყური

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP87217723; ლოტის ნომერი: 872177).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2023 წლის 16 მარტის 10:00 საათამდე.

კალათბურთში მსოფლიოს 2023 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი დასრულდა, შესაბამისად, ფინალური ტურნირის ყველა მონაწილე გაირკვა.

საქართველოს ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის უფლება ისტორიაში პირველად მოიპოვა, რითაც ქართული კალათბურთის ისტორია დაიწერა. ახლა, შეგვიძლია უფრო დეტალურად ვისაუბროთ მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომლის 32 მონაწილის სია ასეთია:

აფრიკა

ანგოლა, კაბო ვერდე, ეგვიპტე, კოტ დივუარი, სამხრეთ სუდანი.

ამერიკა

ბრაზილია, კანადა, დომინიკის რესპუბლიკა, მექსიკა, პუერტო რიკო, აშშ, ვენესუელა.

აზია

ავსტრალია, ჩინეთი, ირანი, იაპონია, იორდანია, ლიბანი, ახალი ზელანდია, ფილიპინები.

ევროპა

ფინეთი, საფრანგეთი, საქართველო, გერმანია, საბერძნეთი, იტალია, ლატვია, ლიეტუვა, მონტენეგრო, სლოვენია, ესპანეთი, სერბეთი.

BASKETBALL WORLD CUP
PHILIPPINES • JAPAN • INDONESIA 2023

◎ მუნდიალი 2023

ტურნირის ფორმატი

მსოფლიოს ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპის წილისყრა 29 აპრილს გაიმართება და მონაწილე 32 ნაკრები 8 ოთხგუნდიან ჯგუფში განაწილდება. ჯგუფებში პირველ-მეორე ადგილზე გასული გუნდები ასპარეზობას მეორე ჯგუფურ ეტაპზე გააგრძელებენ, სადაც უკვე 4 ოთხგუნდიანი ჯგუფი შეიქმნება, საიდანაც ორ-ორი საუკეთესო გააღწევს და მსოფლიოს ჩემპიონობისთვის მეოთხედფინალიდან იბრძოლებენ. აღსანიშნავია, რომ პირველი ჯგუფური ეტაპის ვერ დაძლევის შემთხვევაშიც მუნდიალს არცერთი გუნდი არ ეთიშება: თითოეული ადგილი უნდა გათამაშდეს და ჯგუფში ჩარჩენილები 17-32 ადგილებისთვის განაგრძობენ ასპარეზობას.

საინტერესოა ის დეტალი, რომ ტურნირს სამი მასპინძელი ჰყავს, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატზე მონაწილეობას მხოლოდ ორი მათგანი (იაპონია და ფილიპინები) მიიღებენ, ხოლო ინდონეზიის ნაკრები მუნდიალზე არ იქნება მიუხედავად იმისა, რომ ეს ქვეყანა ჩემპიონატს მასპინძლობს. მიზეზი ისაა, რომ ინდონეზიას სუსტი ნაკრები ჰყავს, ფიბამ მათ შანსი მისცა მსოფლიოს ჩემპიონატზე მოსახვედრად, მაგრამ ერთ-ერთ ტურნირზე საუკეთესო 8 გუნდში ვერ მოხვდნენ და ინდონეზიაში მსოფლიოს ჩემპიონატი ინდონეზიის ნაკრების გარეშე ჩაივლის.

მსოფლიოს 2023 წლის ჩემპიონატს რამდენიმე ძლიერი ნაკრები დააკლდა, რადგან საკვალიფიკაციო ეტაპი ვერ დაძლიეს. ყველაზე აღსანიშნავია არგენტინის, ხორვატეთის, თურქეთის, ჩეხეთის, ისრაელის, პოლონეთის ნაკრებები.

მსოფლიოს 2023 წლის ჩემპიონატი 25 აგვისტოდან 10 სექტემბრის ჩათვლით გაიმართება. წილისყრის შემდეგ გაირკვევა საქართველოს ნაკრები პირველი ჯგუფური ეტაპის მატჩებს რომელ ქვეყანაში ჩაატარებს.

◎ ფორუმი

16 წლის ჩემპიონი

ბაკურიანში მიმდინარე ფრისტაილის, სნოუბორდისა და ფრისკის მსოფლიო ჩემპიონატის მე-12 დღეს მედლები მამაკაცთა და ქალთა სლოუპსტაილში გათამაშდა.

ქალთა შორის გამარჯვებული 16 წლის ბრიტანელი, მია ბრუკსი გახდა. მან ურთულესი 1440-იანი ორმაგი გრაბი შეასრულა და 91.38 ქულით მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

ვერცხლის მედალი ახალზელანდიელმა ზოი სადოვსკი სინოტმა დაიმსახურა 88.78 ქულით. რაც შეეხება ბრინჯაოს, ის 83.05 ქულით იაპონელ მიაბი ონიცუკას ხვდა.

მამაკაცთა შორის იმავე დისციპლინის გამარჯვებული 87.23 ქულით ნორვეგიელი მარკუს კლეველენდი გახდა. მეორე ადგილზე 83.45 ქულით იაპონელი რიომა კიმატა გავიდა, ბრინჯაოს მედლის მფლობელი კი აშშ-ს წარმომადგენელი კრის კორნინგია 82.18 ქულით. ამ მომენტისათვის ბაკურიანში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატს არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში შვეიცარიის ნაკრები 2 ოქროს, 2 ვერცხლის და 2 ბრინჯაოს მედლით ლიდერობს. მეორე ადგილზე შვედეთია 2 ოქრო, 1 ვერცხლი და 2 ბრინჯაოთი. მესამე პოზიციაზე კანადაა. მათაც 2 ოქრო აქვთ, თუმცა 1 ვერცხლი და 1 ბრინჯაო. დღეს შეჯიბრებები უკვე ფრისკის სლოუპსტაილში გაიმართება.

◎ კარატე

ყველანი კვარცხლბეკზე

საფრანგეთის ქალაქ ლილში დასრულდა საერთაშორისო ტურნირი, სადაც საქართველოს კონტაქტური კარატეს ეროვნული ნაკრების 9 სპორტსმენიდან ყველამ მოახერხა სხვადასხვა სინჯის მედლის მოპოვება.

მსუბუქ კატეგორიაში გამარჯვებულთა კვარცხლბეკი მხოლოდ ქართველმა მებრძოლებმა დაიკავეს. ევროპის 5-გზის ჩემპიონმა ანდრეი ზინჩენკომ აქაც იმარჯვა და ტურნირის ოქროს მედალთან ერთად, საუკეთესო მებრძოლის პრიზიც დაიმსახურა, მინდია მგელაძემ ვერცხლის, ლაშა შანთაძემ და დათა ფუტკარაძემ კი ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

80 კგ.-ში თენგიზ ბასტოიანმა შეძლო ოქროს მედლის მოპოვება, ხოლო 80+ კგ.ში – ქართული ფინალი გაიმართა, სადაც დავით მსხალაძემ ლევან ვერულიძე დაამარცხა. ქალებში -55 კგ.ში მარიამ წიკლაური ვერცხლის მედალოსანი გახდა. 35 წლის ზემოთ კი აბსოლუტურ კატეგორიაში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, ლევან ცინცაძემ პირველობა მოიპოვა და ჩემპიონობასთან ერთად, ტურნირის ყველაზე ტექნიკური მონაწილის სპეციალური პრიზიც დაისაკუთრა.

აღნიშნული საერთაშორისო ტურნირი, ჩვენი ეროვნული ნაკრების მწვრთნელის ლაშა ხაჭაპურიძის გეგმის მიხედვით, ევროპის ჩემპიონატისთვის მზადების ეტაპი იყო, რომელიც 1 აპრილს შვედეთის ქალაქ გიოტებორგში გაიმართება. საფრანგეთის ტურნირს ქართველი არბიტრი, ბექა მჭედლიშვილიც მსაჯობდა. ხოლო ჩვენი გუნდის სამედიცინო მომსახურებას, სპორტული მედიცინის ასოციაციის წარმომადგენელი, ეროვნული ნაკრების ექიმი-რეაბილიტოლოგი, ფირუზ ტუნაძე უზრუნველყოფდა.

◎ პარა მძლეოსნობა

წარმატება დუბაიში

პარა მძლეოსნობაში დუბაის გრან პრიზე, საქართველოს ნაკრების წევრმა დავით ქავთარაძემ ვერცხლის და ბრინჯაოს მედლები მოიპოვა.

შუბის ტყორცნაში იგი 32.42 მეტრით მეორე ადგილზე გავიდა. ამავე დისციპლინაში პირველი ადგილის მფლობელი, უკრაინელი ვლადისლავ ბილი გახდა 40.82 მეტრით.

დავითმა სიგრძეში ხტომაში (5.37) საქართველოს ნაკრებს ბრინჯაოს მედალიც მოუტანა. ოქროს და ვერცხლის მედლები ჩინელმა პარა მძლეოსნებმა ზინგ ჰუანგჰაომ (6.37) და ჟიუ დენინგმა (6.26) გაინაწილეს.

ქავთარაძემ ორივე დისციპლინაში მოიპოვა პარიზის მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ლიცენზია.

საქართველოს პარა მძლეოსნობის ნაკრები გუნდი განაგრძობს ასპარეზობას დუბაის გრან პრიზე.

მზადება დაიწყეს

ბორჯღალოსნები 33 კაცის შემადგენლობით „შევარდენის“ სანაკრებო ბაზაზე შეიკრიბნენ და 2023 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალური მატჩისთვის მზადებას შეუდგნენ.

რაგბი ევროპის ჩემპიონატის განახლებული ფორმატის თანახმად, 8-გუნდიანი ტურნირის ნახევარფინალისტები ჯგუფური ეტაპის დასრულების შედეგად გამოვლინდნენ. თასისთვის ოთხი მათგანი აგრძელებს ბრძოლას – „ბ“ ჯგუფის პირველადგილოსანი პორტუგალია 4 მარტს ესპანეთს უმასპინძლებს, 5 მარტს კი „ა“ ჯგუფის გამარჯვებული საქართველო, „ავჭალაზე“, 16 საათზე რუმინეთს დაუხვდება.

ჯგუფური ეტაპის დასრულების შემდეგ, გაფართოებულ რაზმში მცირედი ცვლილებებია. ვახტანგ აბდალაძის ნაცვლად შეკრებაზეა სანდრო ქუნთელია, რომელიც გუნდს ტრავმის შემდეგ ესპანეთთან მატჩის წინ შეუერთდა, თუმცა თამაშმა არ მოუწია.

9 ნომრის პოზიციაზე მიხეილ ალანიას ნაცვლად ლევან მაისაშვილმა თენგიზ პერანიძეს უხმო, რომელსაც სანაკრებო დებიუტი შარშან ზაფხულში, ურუგვაისთან ჰქონდა და მას შემდეგ არ უთამაშია. 33 მორაგბიდან 18 მორკინალი და 15 ხაზის მოთამაშეა. ნახევარფინალში გამარჯვებული გუნდები 19 მარტს, ჩვენი დროით 23 საათზე, ესპანეთის ქალაქ ბადახოსში ფინალში შეიბმებიან, მესამე ადგილისთვის მატჩი კი იქვე 20:15 საათზე დაიწყება.

ჩვენ და რუმინეთი

ბორჯღალოსნებს რუმინეთთან ურთიერთშეხვედრების ყველაზე დიდი ისტორია აქვთ. 1998 წლიდან დღემდე, გუნდებმა 26 თამაში (12 შინ, 12 სტუმრად, 2 ნეიტრალურზე) გამართეს და 16 საქართველოს გამარჯვებით დასრულდა, ერთხელ ფრე დაფიქსირდა, 9 შემთხვევაში კი გამარჯვება მეტოქეს დარჩა. ბორჯღალოსნებმა კარპატელებს ჯამში გაუტანეს 52 ლელო და 530 ქულა, ხოლო რუმინელთა ანგარიშზე 36 ლელო და 434 ქულაა.

2002 წლიდან, ქართული მხარის ინიციატივით, საქართველოსა და სტუმართა ურთიერთშეხვედრებში ანთიმოზ ივერიელის თასი (მსოფლიო თასის ეგიდით ჩატარებული მატჩების გარდა) თამაშდება. აქამდე საზიარო თასი საქართველომ 15-ჯერ, რუმინეთმა კი 6-ჯერ შემართა.

გასული საუკუნის მიწურულს და 21-ე საუკუნის დასაწყისში, რუმინელთა ძლევა სანუკვარ მიზნად გვქონდა. რუმინელებმა 9-იდან 7 გამარჯვება 1998-2006 წლებში მოიპოვეს, ბოლოსწინა 2010, ხოლო ბოლო 2017 წელს. „მუხებს“ საქართველოში 3-ჯერ აქვთ მოგებული, ბოლოს 2003 წელს, ერთადერთი ფრე კი 2013 წელს ბუქარესტში დაფიქსირდა (9:9).

მეტოქე ყველაზე დიდი სხვაობით 2016 წელს, თბილისში დავამარცხეთ (38:9). რეკორდამდე ერთი ქულა დაგვაკლდა 2020 წელს (41:13), მანამდე კი, სარეკორდო გამარჯვება 2011 წლის მსოფლიო თასზე მოვიპოვეთ, როდესაც ტრადიციულ მეტოქეს, არატრადიციულ გარემოში, პამერსთონში (ახალი ზელანდია) 25:9 ვაჯობეთ.

„სტეუართან“ არასდროს გვითამაშია „ავჭალაზე“. თბილისში ბოლოს მათ 2021 წელს „მიხეილ მესხზე“ ვუმასპინძლეთ და 28:17 დავამარცხეთ, შარშან კი ბუქარესტში 26:23 ვძლიეთ. მოცემული მომენტისთვის რუმინეთი მიჯრით 5-ჯერ გვყავს დამარცხებული. 7-მატჩიანი წაუგებელი სერია 2011-2016 წლებში გვქონდა, ოღონდ მაშინ, სამი მოგების შემდეგ ბუქარესტში ფრედ ვითამაშეთ, რასაც კვლავ სამი მოგება მოჰყვა.

რაგბი ევროპის ჩემპიონატი 2023 ნახევარფინალი. 5 მარტი. თბილისი. „ავჭალა“ (16:00) ბორჯღალოსანთა გაფართოებული შემადგენლობა.

შერკინება

გურჯაები: **გურამ გოგიჩაშვილი (რასინგ 92, 35 კეპი, 10 ქულა), ნიკა აბულაძე (შავი ლომი, 8 კეპი), სერგო აბრამიშვილი (სტად ფრანსე, 3 კეპი); ბექა გიგაშვილი (ტულონი, 32 კეპი, 15 ქულა), გურამ პაპიძე (პო, 7 კეპი, 5 ქულა), ალექსანდრე ქუნთელია (ლა როშელი, 2 კეპი, 5 ქულა);**

პვაჯები: **შალვა მამუკაშვილი (შავი ლომი, 95 კეპი, 55 ქულა), გიორგი ჭყოიძე (შავი ლომი, 28 კეპი, 30 ქულა), თენგიზ ზამთარაძე (შავი ლომი, 2 კეპი);**

მეორე ხაზი: **კოტე მიქაუტაძე (ბეიონი, 80 კეპი, 15 ქულა), ნოდარ ჭეიშვილი (შავი ლომი, 44 კეპი, 5 ქულა), ლადო ჩაჩანიძე (ნევერი, 8 კეპი), მიხეილ ბაზუნაშვილი (შავი ლომი, 2 კეპი);**

მესამე ხაზი: **ოთარ გიორგაძე (მონტობანი, 38 კეპი, 50 ქულა), ბექა საღინაძე (ლიონი, 34 კეპი, 15 ქულა), გიორგი ცუცქირიძე (სტად ფრანსე, 27 კეპი, 30 ქულა), თორნიკე ჯალაღონია (ბიარიცი, 20 კეპი, 25 ქულა), მიხეილ გაჩეჩილაძე (შავი ლომი, 19 კეპი, 20 ქულა);**

ღერძი: **ვასილ ლომჟანიძე (ბრივი, 73 კეპი, 73 ქულა), გელა აფრასიძე (მონპელიე, 43 კეპი, 27 ქულა), თენგიზ პერანიძე (შავი ლომი, 1 კეპი); თედო აბჟანდაძე (მონტობანი, 40 კეპი, 322 ქულა), ლუკა მატკავა (შავი ლომი, 5 კეპი, 34 ქულა);**

ცენტრები: **გიორგი კვესელაძე (გლოსთერი, 45 კეპი, 25 ქულა), დემე თაფლაძე (შავი ლომი, 23 კეპი, 5 ქულა), თორნიკე კახოიძე (შავი ლომი, 2 კეპი), მერაბ შარიქაძე (შავი ლომი, 91 კეპი, 75 ქულა, კაპ.);**

ფრთეები: **სანდრო თოდუა (შავი ლომი, 105 კეპი, 85 ქულა), აკა ტაბუცაძე (შავი ლომი, 26 კეპი, 120 ქულა), ოთარ ლაშხი (შავი ლომი, 1 კეპი, 5 ქულა);**

ფულბეკები: **ლაშა ხმალაძე (შავი ლომი, 95 კეპი, 53 ქულა), მირიან მოდებაძე (შავი ლომი, 22 კეპი, 45 ქულა), დავით ნინიაშვილი (ლიონი, 19 კეპი, 43 ქულა).**

ზურა, ჩვენო განუმეორებელო მეგობარო!

რთულია, წარსულ დროში ისაუბრო მეგობარზე, ვის გვერდითაც მთელი ცხოვრება გაქვს გატარებული. ბავშვობიდან, სკოლის მერხიდან იწყება ჩვენი ურთიერობა და ჭარმაგ ასაკამდე მოგვყვება უდიდეს საჩუქრად. მართლაც, ღვთის ბოძებაა ასეთი მეგობრობა, ძმადნაფიცობა და სიყვარული. ხუთ ათეულ წელზე მეტია, განუყრელნი ვართ, ჭირსა და ლხინს ვიზიარებთ, ოჯახებით ვმეგობრობთ, ერთმანეთს დედმამიშვილში არ გამოვარჩევთ... ასეთი ურთიერთობა ნამდვილად ყველაზე ძვირფასი განძია, ვერაფერი რომ შეედრება.

ვინც იცნობდა ზურაბ ლეჟავას, ჩვენს უსაყვარლეს ზურას, ზურიკოს, დაგვეთანხმება, რომ გამორჩეული თვისებების ადამიანი იყო, მოკეთეზე მუდამ მზრუნველი და მოფიქრალი, განსაცდელში მყოფისთვის ხელის გამწოდებელი და გვერდში მდგომი. იშვიათად იბადებიან ასეთი ძლიერი ნების პიროვნებები. არასდროს ეპუებოდა მარცხს, ფიასკოს.. არადა, ბევრჯერ ჰქონია განცდილი, სიმწარეც არაერთხელ უგემია. ზურას შეეძლო ფენიქსივით აღმდგარიყო ფერფლიდან, ყველაფერი დაეწყო ნულიდან, მთელი არსებით შებრძოლებოდა მოულოდნელ წინაღობას და გაემარჯვა. ასე საკუთარ თავსაც სცდიდა, თითქოს უმტკიცებდა, რამდენად მეტის გაკეთება შეეძლო, სად იყო მისთვის მიჯნა. ზოგჯერ თავსაც აჭარბებდა, ისეთი სიტუაციიდან იპოვიდა გამოსავალს, ფატუმსაც (ბედისმწერალსაც) აწბილებდა. და განა მხოლოდ საკუთარი თავისთვის ირჯებოდა ასე? ასეთივე თავგანწირვით იბრძოდა ჩვენთვისაც, ხან — ჩვენ ნაცვლადაც.. ასეთი იყო — დაუდგრომელი, ბობოქარი ცხოვრების მოტრფიალე, მებრძოლი და შეუპოვარი.

თვალს თუ გადავავლებთ მის ხანმოკლე ცხოვრებას, დავრწმუნდებით, რომ სისხლსავსედ იცხოვრა, თავბრუდამხვევი გამარჯვებებით, ერთი კაცის სიცოცხლისთვის მეტისმეტად უხვი ხდომილებებით. ყველა ოცნება შეისრულა, არაფერი დაჰკლებია — სახელი, სიმდიდრე, გავლენა, ამქვეყნიური ყველა სიკეთე. მაგრამ მისი ძალა ყველა ამ, ბევრისთვის სანატრელ, სიუხვეში კი არ ჩანდა, არამედ მის სულიერ სიმდიდრეში, რომლის ფასიც საკუთარ თავზე იგრძნო ყველა მისმა მოკეთემ და ბევრმა სრულიად უცნობმაც. იხვეჭდა, რომ გაეცა, იბრძოდა, რომ გაემარჯვა და ბედნიერება ეჩუქებინა უძვირფასესი მშობლებისთვის, ოჯახისთვის, გულშემატკივართათვის. იღვაწა, იშრომა, იბრძოლა, შეიყვარა, მაგრამ ეს მაინც ცოტა იყო... დაგვტოვა იმ დროს, როცა ჯერ კიდევ ბევრი ჰქონდა სათქმელიც და გასაკეთებელიც. გეგმებსაც გვიმხელდა, ყველაფერი კი იმისთვის უნდოდა, რომ მეგობრისთვის ესიამოვნებინა, მისთვის გაეხარებინა გული..

ასეთი იყო ჩვენი განუმეორებელი ზურა, ჩვენი განუყრელი მეგობარი. ბავშვობიდან დღემდე ერთად ვიარეთ. ახლა კი ვემშვიდობებით. სიტყვას არ ძალუძს გადმოსცეს ის ტკივილი, რასაც განვიცდით. მაგრამ, რას ვიზამთ, ასეთია განგების ნება. ნათელში იყავი, ჩვენო ზურა, დიდი გულის ადამიანო, ერთგულო და საიმედო მეგობარო, მადლი გფენოდეს უფლისკენ სავალ გზაზე.

გუბაზ გოგიბერიძე, რატი გურაბანიძე, სოსო ღოლობერიძე, გიორგი ასათიანი, გიორგი ხერხეულიძე, ირაკლი თარხნიშვილი.

გია გაბრიჭიძე, ნონა, თემურ, ვალოდია ბრელიძეები, მარინა კანდელაკი, ნესტორ ჩიხლაძე, მიშა ხუჭუა, კახა სალია ოჯახებით თანაუგრძნობენ მაკა მანჯგალაძეს მაზლის

ზურაბ ლეჟავას

გარდაცვალების გამო.

ქართული ჯაზის ლეგენდა, ვირტუოზი კონტრაბასისტი...

გარდაიცვალა ცნობილი მუსიკოსი თამაზ ყურაშვილი

75 წლის ასაკში გარდაიცვალა კომპოზიტორი, მუსიკოსი, ჯაზმენი თამაზ (თათუზა) ყურაშვილი.

თამაზ ყურაშვილმა 1970 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; შემდეგ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია.

1968-1969 წწ. იყო ფილარმონიის ანსამბლ „დიელოს“, 1970 წელს ანსამბლ „ჩანგის“, 1968-1982 წწ. რადიოსა და ტელევიზიის კომიტეტის საესტრადო ორკესტრის სოლისტი; 1979 წელს ჯაზ-ანსამბლის ხელმძღვანელი; 1983-1985 წწ. საესტრადო-სიმფონიური ორკესტრის მთავარი დირიჟორი და სამხატვრო ხელმძღვანელი.

თამაზ ყურაშვილი არის კომპოზიტორი მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმისა — „სუფთა დაფა“(1982), მხატვრული ფილმისა „ისინი“ (1993), თელავის დრამატული თეატრის სპექტაკლის „ათვინიერებენ მიმინოს“ (1985) და სხვ.

თამაზ ყურაშვილს 2011 წელს დიდი საკონცერტო დარბაზის წინ ვარსკვლავი გაუხსნეს. თამაზ ყურაშვილი იყო თბილისის საპატიო მოქალაქე.

ტრაგედია საბერძნეთში

საბერძნეთში სარკინიგზო კატასტროფის შედეგად 29 ადამიანი დაიღუპა, 85 კი დაშავდა. ერთმანეთს სამგზავრო და სატვირთო მატარებლები შეეჯახნენ.

სამგზავრო მატარებელი ათენიდან თესალონიკში მიემგზავრებოდა, სატვირთო მატარებელი კი — თესალონიკიდან ლარისში. მაშველებმა სამგზავრო მატარებლიდან 194 მგზავრის ევაკუაცია მოახერხეს. დაშავებულები ახლოს მდებარე საავადმყოფოებში გადაიყვანეს, მათგან 25-ის მდგომარეობა კრიტიკულად მძიმეა. მომხდართან დაკავშირებით დაწყებულია გამოძიება.

დიდმარხვის პირველი კვირა

მართლმადიდებლობის ზეიმი

5 მარტს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი საოციქულო ეკლესია დღესასწაულობს მართლმადიდებელთა ზეიმს, ეს კი ხდება დიდმარხვის პირველ კვირიაკეს.

...VIII საუკუნეში ბიზანტიის სახელმწიფოს გაძლიერება-განმტკიცების ჟამს, მის წიაღში წარმოიშვა ახალი ერესი — ხატმებრძოლობა, რომელიც მთელი საუკუნის მანძილზე მძვინვარებდა და მრავალი უბედურება დაატეხა თავს ქვეყანას.

ერეტიკული სწავლების საპირისპიროდ, იოანე დამასკელმა ხატსა და მის თაყვანისცემაზე მართლმადიდებლური სწავლება ჩამოაყალიბა, რომელიც მოკლედ ასე შეიძლება გამოიცეს: სამყაროში ყოველივე ხატია; გამოსახულება: თავად კაცი ხატი და მსგავსია ღმრთისა. ყოველი საგანი ხატია იდეისა.

საგულისხმოა, რომ ხატსა და პროტოტიპს შორის, მატერიასა და სულს შორის არსებობს კავშირი!

თუკი ხატმებრძოლნი სულთან მატერიის ამ კავშირს სრულიად უარყოფენ, მაშინ ისინი მანიქეველები ყოფილან, რომელნიც ღმერთთან მატერიალური სამყაროს ყოველგვარ ზიარებას გამორიცხავდნენ.

...842 წელს მოიწვიეს კრება. კრების აქტები მეშვიდე მსოფლიო კრების დადგენილებებს ეფუძნებოდა.

ადგილობრივმა კრებამ ხატმებრძოლთა ერესი დაგმო, ხატთა თაყვანისცემა აღადგინა... და გამოაცხადა მართლმადიდებლობის ზეიმი, რომელსაც იმ დღიდან მოყოლებული მართლმადიდებელი ეკლესია ყოველ წელიწადს დიდი მარხვის პირველ კვირა დღეს დღესასწაულობს!

გიული ლიპარტია

„გაიტაცეს 600 ცხვარი“!

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო და დეტექტივების სამმართველოების თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 5 პირი დააკავეს.

1976 წელს დაბადებულ გ.ბ.-ს, 1976 წელს დაბადებულ მ.რ.-ს და 1972 წელს დაბადებულ ზ.ბ.-ს ბრალად ედებათ წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილი დიდი ოდენობით ძარცვა.

1985 წელს დაბადებული ა.ა. დაკავებულია წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილი დიდი ოდენობით ძარცვის და წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ორი ან მეტი პირის მიმართ ჩადენილი თავისუფლების უკანონო აღკვეთის ბრალდებით. 1985 წელს ლ. მ.-ს ბრალად ედება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილი დიდი ოდენობით ძარცვა და წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ორი ან მეტი პირის მიმართ ჩადენილი თავისუფლების უკანონო აღკვეთა. დანაშაულები 4-დან 11 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

რაც შეეხება 1996 წელს დაბადებულ ნ.ბ.-ს და 1989 წელს დაბადებულ გ.ტ.-ს, მათი ადგილსამყოფლის დადგენისა და დაკავების მიზნით გრძელდება შესაბამისი ოპერატიული ღონისძიებები და საგამოძიებო ქმედებები.

ვაჟა ხორნაული

პირველად დედას ავიყვან მზესთან...

მოწყენას მისას როდესაც გრძნობენ,
იქუფრებიან თვალები ნისლით.
თუ გავამსხვრიე განგების ღობე,
პირველად დედის ჭაღარას ვიხსნი.

ფიქრები ღლიან ისედაც დაღლილს,
სამრეკლოსავით ფერმკრთალს და ხნიერს.
თუ დეკემბერშიც აენთო ბაღი,
პირველად დედას დავუკრეფ იებს.

დედის მანდილში აპრილი გალობს,
ვით დაფიონი ფხოვეთის მთებში.
თუ უკვდავების ვიპოვე წყარო,
პირველად დედას მოვუტან პეშვით.

ნანინას ნამი აკვანზე ელავს,
როგორც კვირტებზე ღიმილი ფესვთა.
თუ სივრცეებში შევძელი ფრენა,
პირველად დედას ავიყვან მზესთან.

„კეთილდღეობის ინდექსის“ მიხედვით მსოფლიოს საუკეთესო ათეულში ვართ!

საქართველო 2023 წლის „კეთილდღეობის ინდექსში“ 167 ქვეყნიდან 53-ე ადგილზეა და მსოფლიო რეიტინგში ყველა მეზობელ ქვეყანას უსწრებს, პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან კი მხოლოდ ბალტიისპირეთს ჩამორჩება, – ამის შესახებ ინფორმაციას ფინანსთა სამინისტრო ავრცელებს. კეთილდღეობის გრძელვადიანი, 10-წლიანი გაუმჯობესების მიხედვით, საქართველო სამი მიმართულებით დასახელდა მსოფლიოს საუკეთესო ათეულებში. 2013-2023 წლებში საქართველოს სარეიტინგო მდგომარეობა მსოფლიოში 11 ადგილით გაუმჯობესდა.

დაცულობის და უსაფრთხოების რეიტინგის ათწლიანი გაუმჯობესებით საქართველო მსოფლიოს საუკეთესო ათეულში მე-3 ადგილზეა. საინვესტიციო გარემოს ათწლიანი პროგრესით საქართველო მსოფლიოს საუკეთესო ათეულში მე-3 ადგილზე გავიდა. საცხოვრებელი პირობების ათწლიანი გაუმჯობესებით საქართველო ასევე მსოფლიოს საუკეთესო ათეულში მე-3 ადგილზეა.

„კეთილდღეობის ინდექსს“ და შესაბამის ანგარიშს ბრიტანეთის მოწინავე ანალიტიკური ცენტრი Legatum Institute 2007 წლიდან აქვეყნებს. ორგანიზაცია გლობალურ კეთილდღეობას 12 აგრეგატის მიხედვით აფასებს: დაცულობა და უსაფრთხოება, პერსონალური თავისუფლება, მმართველობა, სოციალური კაპიტალი, საინვესტიციო გარემო, სამეწარმეო კონდიცია, ბაზარზე წვდომა და ინფრასტრუქტურა, ეკონომიკის ხარისხი, საცხოვრებელი პირობები, ჯანმრთელობა, განათლება, ბუნებრივი გარემო (ეკოლოგია).

საქართველოს ყველაზე სათავგადასავლო ეროვნული პარკი

წელს, ტურიზმისა და მასპინძლობის სფეროში არსებულ ყოველწლიურ კონკურსში Welcome to Georgia 7 დაცული ტერიტორია იყო ჩართული. გამარჯვებული საერთაშორისო და ქართველი პროფესიონალებისგან შემდგარმა ჟიურიმ დაასახელა.

როგორც დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილემ, თამარ ხახიშვილმა აღნიშნა, ისეთი მნიშვნელოვანი კონკურსები, როგორიც ტურიზმის ეროვნული დაჯილდოებაა, ხელს უწყობს ეკოტურიზმის პოპულარიზაციას. ოკაცეს კანიონი ხონის მუნიციპალიტეტში, სოფელ გორდში მდებარეობს და ექსტრემალებს დაუვიწყარ თავგადასავლებს სთავაზობს. საქართველოში პირველი კლდეზე კიდული ბილიკი ოკაცეს კანიონს მიუყვება. ბილიკი ვიწროა და წრიული მოგზაურობა მხოლოდ ერთი მიმართულებითაა შესაძლებელი. 780 მეტრი სიგრძის კიდული ბილიკი 152 მეტრის სიმაღლეზეა, ბილიკის გვირგვინს კი, პანორამული გადასახედი წარმოადგენს. ტურიზმის ეროვნული დაჯილდოება – Welcome to Georgia ტურიზმისა და მასპინძლობის სფეროში არსებული ყოველწლიური დაჯილდოების ცერემონიაა, რომელიც საქართველოში 2015 წლიდან ტარდება.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჟავჟავაძის გამზირი №17ა

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35
მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04
ტექნიკური რედაქტორი
კახა ძორიძე
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

გამომცემლები:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. გაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გამოიწერეთ ან იყიდეთ ჟურნალისტური ეთიკის ყველა ნორმის დაცვით გამორჩეული გაზეთი!

წლის პირველი თვეები გადამწყვეტია ბეჭდური მედიის, ანუ ტრადიციული და ეროვნული ჟურნალ-გაზეთების ხელმოწერა-გავრცელებისთვის!

ბუნებრივია, ხელმომწერთა სიმრავლე მთავარი პირობაა 105 წლის საზოგადოებრივ-პოლიტიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო და საინფორმაციო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გადარჩენისთვისაც!

ამიტომაც წიგნიერ საქართველოს – ვისაც ჯერ კიდევ უყვარს კითხვა, უმორჩილესად ვთხოვთ, გამოიწეროთ ჩვენი სანდო, მართალი, ჟურნალისტური ეთიკის ყველა ნორმის დაცვით გამორჩეული გაზეთი!

ხელმოწერა შეგიძლიათ, გააფორმოთ შემდეგ გამავრცელებლებთან:
შპს „ელვაჯი“, 595 38 26 26, 2 38 26-73, 2 38 26-74;
შპს „პლანეტა ფორტე“, 2 99 18 59.

ხელმოწერასა და გაზეთის ბინაზე მიტანაში უშუალოდ დაგეხმარებათ თვით რედაქციასთან ურთიერთობაც – ჭავჭავაძის პროსპექტი №17³, „საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის“ ოფისი, დარეკეთ: 5 99 36 00 35, 577 77 27 17.

გაზეთის დახმარების მსურველებმა თანხა ჩაგვირიცხეთ ანგარიშზე
GE90BG0000000538329790

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 6 მარტს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6196; ევრო - 2.7791;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1674;
100 რუბლი - 3.4932; თურქული ლირა - 0.1399;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5409;
1000 სომხური დრამი - 6.7264

ამინდი 2 მარტისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+5,	დღე	+13
მთიანი რაიონები -	ღამე	+1,	დღე	+12
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+5,	დღე	+15
მთიანი რაიონები -	ღამე	+1,	დღე	+11
თბილისი:	ღამე	+7,	დღე	+15

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge